პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის,
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გაზეთი გამოდის
1920 წლის
3 ივნისიდან

№ 263 (20609) ხუთშაბათი, 16 ნოემბერი, 1989 წელი. ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მეთერთმეტე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეთორმეტე სესიის გახსნის შესახებ

საქართველოს სსრ მეთერთმეტე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეთორმეტე სესია გაიხსნება 1989 წლის 17 ნოემბერს დილის 10 საათზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სხდომათა დარბაზში.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატებისა და მოწვეულ პირთა რეგისტრაცია დაიწყება 8 საათიდან.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უხუცესთა საბჭოს სხდომის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უხუცესთა საბჭოს სხდომა გაიმართება 1989 წლის 17 ნოემბერს 9 საათსა და 30 წუთზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სხდომათა დარბაზში.

ჩვენი უფლებებისა და თავისუფლებების გარანტია

საკდესის საპარლამენტო კორესპონდენტები კრემლიდან გვატყობინებენ

დეპუტატებმა წამოაყენეს სხვა წინადადებებიც დამატებების შესახებ. კერძოდ, გამოითქვა აზრი, რომ მოესმინათ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის ანგარიში, ყრილობაზე გაეტანათ ინფორმაცია საკონსტიტუციო კომისიის მუშაობის შესახებ, მოქალაქეთა ალტერნატიული სამხედრო სამსახურის უფლების შესახებ და სხვა საკითხები.

ერთ-ერთი წინადადება ასე იყო ჩამოყალიბებული: განიხილონ მეორე ყრილობაზე სსრ კავშირის კონსტიტუციის მე-6 მუხლის ახალი რედაქციის საკითხი, მუხლისა, სადაც ლაპარაკია საბჭოთა საზოგადოებაში საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელი როლის შესახებ. ამ საკითხმა განსაკუთრებით მწვავე დისკუსია გამოიწვია. ზოგიერთი დეპუტატის გამოსვლაში გაისმა პარტიისადმი უნდობლობის ნოტები, ამ საკითხის სასწრაფო გადაწყვეტის მოწოდებები. უპასუხა რა მათ, დეპუტატმა **გ. პ. რაზუმოვსკიმ** დამსწრეთ შეახსენა სახალხო დეპუტატთა პირველი ყრილობის ერთ-ერთი მთავარი დოკუმენტი — სსრ კავშირის საშინაო და საგარეო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებების შესახებ. ეს დოკუმენტი, თქვა მან, თავით ბოლომდე გამსჭვალულია პარტიისადმი ნდობის სულისკვეთებით, იგი გამოხატავს ხალხის დიდ იმედს, რომ მის მიერ დაწყებული საქმე ბოლომდე იქნება მიყვანილი. სწორედ აქ ითქვა კომუნისტური პარტიის, როგორც მმართველი პარტიის, პოლიტიკური ავანგარდის მაკონსოლიდირებელი როლის შესახებ, განცხადებულ იქნა, რომ პარტია გარდაქმნის გარანტია და რომ მარტო მან, განახლებისა და სრულყოფის მეშვეობით შეუძლია სათავეში ჩაუდგეს მოძრაობას ხალხის მისწრაფებათა განხორციელებისათვის. შეიძლება კი ასეთ პირობებში, იმ რთულ სიტუაციაში, რომელშიც ქვეყანა იმყოფება, — განაცხადა გ. პ. რაზუმოვსკიმ, — ამ საკითხის თვით წამოყენება გონივრულად და უწყინარად ჩაითვალოს.

მაგრამ დისკუსია ამითაც არ დასრულებულა, დეპუტატი **ვ. ი. კარასევი,** დაჟინებით მოითხოვდა ამ საკითხის დღის წესრიგში შეტანას და აუდიტორიას არწმუნებდა, რომ პარტიის ავტორიტეტი ამით არათუ არ შეილახება, არამედ გაიზრდება კიდეც.

სხდომის თავმჯდომარეს **მ. ს. გორბაჩოვს** მოუწია აზრის გამოთქმა ამ საკითხზე. გარდაქმნის ერთ-ერთი პირველი ნაბიჯი, თქვა მან, სწორედ პოლიტიკური სისტემის რეფორმა, კერძოდ, პარტიისა და საბჭოების ფუნქციების გამიჯვნა იყო. ჩვენ ამ გზას შეგნებულად დავადექით, თუმცა ვიცოდით, რომ იგი არც ისე ადვილი და, როგორც აღმოჩნდა, მტკივნეულიც კი იქნება. თვით პარტიის განახლებაც დაიწყო იმით, რომ იგი სულ უფრო მეტად თავისუფლდებოდა მისთვის უჩვეულო სამეურნეო საქმიანობისაგან, და სულ უფრო მეტად იქცეოდა საზოგადოების პოლიტიკურ ავანგარდად. ეს პროცესი გრძელდება, და სწორედ მისი დასრულებისათვის მივიღეთ გადაწყვეტილება პარტიის XXVIII ყრილობისა და ამ ყრილობაზე პროგრამული საკითხებისა და ახალი წესდების გამო დისკუსიის მოწყობის შესახებ. ეს იქნება შემობრუნების ნაბიჯი სკკპ ისტორიაში, ნაბიჯი, რომელიც გარდაქმნის ამოცანებსა და მიზნებს შეესაბამება.

მაგრამ იქნება კი სახალხო დეპუტატთა ყრილობაზე ამ საკითხის გატანის აუცილებლობა, როცა მას უკვე განიხილავს ხალხი და განიხილავს საკმაოდ აქტიურად? ჩემი აზრით, თქვა შემდეგ მ. ს. გორბაჩოვმა, საზოგადოების მნიშვნელოვანი ნაწილი შეშფოთებულია პარტიის როლის დაკნინების, ქვეყნის ცხოვრების ესოდენ პასუხსაგებ პერიოდში მისთვის დარტყმის მიყენების ცდებით. თუ ამ პრობლემას საგანგაშო, კონსტიტუციურ ხასიათს მივანიჭებთ, ხაზი გაუსვა მან, უსარგებლო შეშფოთებას გამოვიწვევთ ჩვენს საზოგადოებაში. ვფიქრობ, კონსტიტუციური კომისია თავის დროზე წამოაყენებს სსრ კავშირის ძირითადი კანონის ცვლილებებისა და დამატებების შესახებ ყველა იმ თავის წინადადებას, რომლებიც ცხოვრებით, მთელი ხალხის მიერ არის ნაკარნახევი.

ამ საკითხის კენჭისყრის დროს დეპუტატებმა მას მხარი არ დაუჭირეს.

მეორე ყრილობის დღის წესრიგში დამატებით შეიტანეს მხოლოდ ერთი წინადადება — ორგანიზებულ დამნაშავეობასთან ბრძოლის გაძლიერების ღონისძიებათა საკითხი.

მაგრამ საბოლოო დღის წესრიგს თვით ყრილობა ჩამოაყალიბებს.

• • •

„მოითქვით თუ არა სული გუშინდელი ცხარე კამათის შემდეგ?" — ასე მიესალმა დეპუტატებს **ა. ი. ლუკიანოვი,** როცა 14 ნოემბერს გახსნა კავშირის საბჭოს და ეროვნებათა საბჭოს მორიგი გაერთიანებული სხდომა. ამით, ეტყობა, ფსიქოლოგიურად გაამხნევა დეპუტატები, რომლებმაც ორშაბათს მუშაობა გვიან საღამოს დაამთავრეს.

მაშ ასე, იწყება საბჭოთა პარლამენტის საშემოდგომო სესიის მერვე კვირის მეორე დღე. რეგისტრაციის ტაბლოზეა ციფრი 433. მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთი დეპუტატი ოფიციალურ მივლინებებშია, თითქმის სრული კვორუმია, რომელიც სხდომის გახსნის საშუალებას იძლევა. ა. ი. ლუკიანოვი ეთათბირება დეპუტატებს, თუ როგორ ჩამოაყალიბონ უფრო ეფექტიანად მორიგი დღის წესრიგი. მან თქვა, რომ კომისიამ, რომელმაც მოამზადა ცნობა მთიანი ყარაბაღის ავტონომიური ოლქის სიტუაციის შესახებ, აგრეთვე კომისიამ, რომელმაც შეისწავლა ავღანეთში საბჭოთა ჯარების კონტინგენტის იმ ყოფილ სამხედრო მოსამსახურეთა ამნისტიის საკითხი, რომლებმაც ჩაიდინეს დანაშაული, ითხოვეს, კიდევ გარკვეული დრო მისცენ მუშაობისათვის. მაშასადამე, ეს პუნქტი უნდა ამოიღონ დღეისათვის მუშაობის წინასწარი გრაფიკიდან.

არის კიდევ ერთი საკითხი, რომელიც უნდა განვიხილოთ, თქვა შემდეგ ა. ი. ლუკიანოვმა. ამ დღეებში ინდოელი ხალხი აღნიშნავს ინდოეთის გამოჩენილი მოღვაწის ჯ. ნერუს დაბადების ასი წლისთავს. ეს თარიღი ფართოდ აღინიშნება ჩვენს ქვეყანაშიც. საერთაშორისო საქმეთა კომიტეტი აყენებს წინადადებას მივიღოთ ამასთან დაკავშირებით სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს განცხადება. სესია ხმას აძლევს მის მიღებას.

კვლავ დღის მთავარი საკითხია დოკუმენტი, რომელზეც დეპუტატებმა უკვე იმუშავეს. საქმე ეხება სსრ კავშირში საკუთრების შესახებ კანონის პროექტს, რომელიც 17 ოქტომბერს მიიღო უმაღლესმა საბჭომ პირველი წაკითხვით და სპეციალურმა კომისიამ დახვეწა იმ დონემდე, რომ შეიძლება განსახილველად წარვუდგინოთ მთელ ხალხს.

კანონის პროექტის ტექსტი, უფრო ზუსტად კი პროექტის შედარებითი ცხრილი ხელთ აქვთ დეპუტატებს. ერთი თვის წინათ უმაღლესი საბჭოსათვის წარდგენილ თავდაპირველ დოკუმენტთან ერთად, დეპუტატებს შესაძლებლობა მიეცათ, გასცნობოდნენ მომავალი კანონის ბევრი დებულების მრავალ შესწორებას, დამატებას, ახალ რედაქციას. დოკუმენტი გამოსაქვეყნებლად განსაკუთრებულადაც არის დაკაბადონებული. მარცხნივ დაბეჭდილია ძირითადი ვარიანტი, მარჯვნივ დამატებები და ცვლილებები. ილაპარაკა რა იმაზე, თუ რა რთული შრომა გასწია კანონმდებლობის, კანონიერებისა და მართლწესრიგის საკითხთა კომიტეტმა, მისმა თავმჯდომარემ **ს. ს. ალექსეევმა** ხაზგასმით აღნიშნა, რომ ამჯერად პროექტი სესიის განსახილველად შეაქვთ არა განხილვის ახალი ტურის მოსაწყობად, არამედ მხოლოდ გამოქვეყნებისათვის დოკუმენტის საპარლამენტო აპრობაციის მიზნით.

ამრიგად, არის წინადადება, მნიშვნელოვანი კანონი, რომელიც, როგორც ხაზგასმით აღნიშნა თავმჯდომარემ, შეიძლება გახდეს ეკონომიკური რეფორმის მთელი შენობის ერთ-ერთი ქვაკუთხედი, გავიტანოთ ხალხის სამსჯავროზე. რა არის მისი განმასხვავებელი თავისებურებანი, რომლებმაც გამოხატა საბჭოთა საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკური განახლების მთავარი აზრი? უპასუხა რა ამ კითხვას, ს. ს. ალექსეევმა თქვა, რომ კანონის თავდაპირველ ვარიანტთან შედარებით მასში არა მარტო შენარჩუნებული, არამედ განვითარებულიცაა ყველა ის პოზიტიური, ჭეშმარიტად რევოლუციური მომენტი, რომლებსაც უნდა მოჰყვეს საკუთრების ძირეული გარდაქმნა ჩვენს ქვეყანაში, მრავალდარგოვანი სოციალისტური სავაჭრო-საბაზრო მეურნეობის დამკვიდრება. დეპუტატმა განაცხადა, რომ პროექტის ერთ-ერთი პრინციპული დაზუსტებაა ადამიანის განსაკუთრებული უფლების განმტკიცება, შეხედულებისამებრ გამოიყენოს თავისი უნარი, მათ შორის, შრომითი დაქირავების გზით. მისი აზრით, ძალზე მნიშვნელოვანი დებულება, რომელიც პერსპექტივაში გავრცელდება სხვა კანონებზე, კერძოდ, ადგილობრივი თვითმმართველობის კანონზე, ის არის, რომ სახელმწიფო ქონება თავისი განკარგვით (მმართველობით) განეკუთვნება მხოლოდ სახალხო დეპუტატთა საბჭოებს. ეს ნიშნავს, რომ ბოლო მოეღება უწყებრივ საკუთრებას. მიწასთან დაკავშირებით, მაგალითად, ასეთი დებულება ამ საკუთრების სრულ განმკარგულებლად გადააქცევს მხოლოდ რაიონულ და საქალაქო საბჭოებს.

სანამ საკითხის განხილვას შეუდგებოდნენ, სხდომის მონაწილეები შეთანხმდნენ დისკუსია ისე წარემართათ, რომ, როგორც ს. ს. ალექსეევმა თქვა, ამ შუალედურ ეტაპზე არ ჩაბმულიყვნენ თეორიულ-პოლიტიკური კამათის ახალ რაუნდში. აუდიტორიის მხარდაჭერით, თავმჯდომარემ გამოსვლები შეზღუდა ხუთწუთიანი რეგლამენტით, რამაც შესაძლებელი გახადა 20 ორატორს გამოეთქვა აზრი პირველ შესვენებამდე და ზუსტად განესაზღვრათ დოკუმენტის ტექსტთან დაკავშირებული კონკრეტული წინადადებების წრე.

ორატორთა უმრავლესობამ სათანადო შეფასება მისცა კომისიის მუშაობას, რომელმაც, ბევრის აზრით, არათუ შეინარჩუნა პროექტის პოზიტიური პოტენციალი, არამედ გააძლიერა კიდეც. ამავე დროს, ბევრმა მათგანმა, უწინარესად ავტონომიურ ფორმირებათა წარმომადგენლებმა, გარკვეულწილად გაიმეორეს უწინდელი საყვედური მუხლებისადმი, რომლებიც ეხება მოკავშირე რესპუბლიკებისა და ავტონომიების საკუთრების უფლებათა თანაფარდობას. მათი აზრით, კანონპროექტის ქსოვილში მოქცეული თეზისი „მოცემულ ტერიტორიაზე მცხოვრები ხალხის კუთვნილების შესახებ" ორაზროვანია და ეწინააღმდეგება დოკუმენტის სხვა დებულებებს. მთელმა რიგმა დეპუტატებმა მოითხოვეს შესაბამისი შესწორების შეტანა, რომელიც დაამკვიდრებს თავის ტერიტორიაზე ავტონომიური ფორმირებებისა და მოკავშირე რესპუბლიკების საკუთრების უფლებათა თანასწორობას.

მეორე მხრივ ბალტიისპირეთის ზოგიერთი დეპუტატი არ ეთანხმება კანონის პროექტში ფიქსირებულ კავშირის უფლებას მონაწილეობდეს მიწისა და ბუნებრივი რესურსების განკარგვაში საერთო-საკავშირო მოთხოვნილებათა უზრუნველსაყოფად. განსაკუთრებით კატეგორიული იყო **ე. ვ. ბიჩკაუსკასი,** რომელმაც წაიკითხა ლიტვის პარლამენტის განცხადება. მასში ყურადღება ექცევა პარლამენტის მიერ მიღებულ საკანონმდებლო აქტებს, რომლებშიც განმტკიცებულია მიწაზე, ბუნებრივ რესურსებზე რესპუბლიკის განსაკუთრებული საკუთრება და სხვ. დეპუტატმა პრეზიდიუმს გადასცა სსრ კავშირში საკუთრების შესახებ კანონის პროექტი, რომელიც მოამზადეს ლიტველმა პარლამენტარებმა, და განაცხადა, რომ შეუძლებელია კენჭისყრაში სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს იმ წევრების მონაწილეობა, რომლებიც წარმოადგენენ ლიტვის სს რესპუბლიკას.

სამწუხაროდ, ყოველთვის როდი იყო დაცული წინასწარი მორიგება იმის შესახებ, რომ დაეცვათ სიმშვიდე და საქმიანი განწყობილება, საგნობრივი ყოფილიყო გამოთქმული შენიშვნები. დარბაზის ტრიბუნას და მიკროფონს ზოგჯერ იყენებდნენ ემოციური რეპლიკებისათვის. ერთნი მოუწოდებდნენ საკადრისი პასუხი გაეცათ „პროვოკაციული გამოხდომებისათვის", მეორენი — პატივი ეცათ კოლეგების აზრისათვის, განსაკუთრებით იმათთვის, ვინც გამოხატავდა მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებელთა თვალსაზრისს. სხვა წინადადებებს შორის გაისმა მოწოდება ამ კანონზე მუშაობის გაგრძელების ნაცვლად განეხილათ რაღაც ალტერნატიული „ახალი ეკონომიკური თეორიები".

ბოლოს და ბოლოს, გაიმარჯვა იმის გაგებამ, რომ დაუშვებელია საყოველთაო-სახალხო განხილვისათვის კანონპროექტის გამოქვეყნების გაჭიანურება. საქმე არ ამოწურულა მხოლოდ გადაწყვეტილებით, გამოექვეყნებინათ დაახლოებით ერთი დღის წინათ პირველი წაკითხვით მიღებული კანონის განსახილველი პროექტი. დეპუტატებმა საჭიროდ მიიჩნიეს არსებითად გაეფართოებინათ საკუთრების შესახებ კანონის საყოველთაო-სახალხო განხილვის საგნობრივი დიაპაზონი. საბჭოთა პრესის ფურცლებზე გამოქვეყნდება ავტონომიების წარმომადგენელთა მიერ შემოთავაზებული ალტერნატიული ფორმულირებანი; პროექტები, რომლებიც მოამზადეს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეკოლოგიისა და ბუნებრივი რესურსების რაციონალური გამოყენების საკითხთა კომიტეტმა და ლიტვის სსრ უმაღლესმა საბჭომ. უმაღლესმა საბჭომ გადაწყვიტა ეკითხა, თუ რას ფიქრობს თითოეული მათგანი ამის თაობაზე. ამასთან, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს დაევალა შექმნას კომისია, რომლის საქმიანობის მიზანი იქნება წინადადებების, აზრებისა და შენიშვნების ობიექტური და ამომწურავი ანალიზი.

ანალოგიური კომისია უკვე შეუდგა მუშაობას პენსიების შესახებ კანონპროექტის გამოქვეყნებასთან დაკავშირებით. ახლა თითოეული ჩვენგანი აქტიურად ებმება კანონშემოქმედების პროცესში. დღეს პარლამენტმა მიიღო კიდევ ერთი მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება — საყოველთაო-სახალხო განხილვისათვის გამოაქვეყნოს კანონპროექტი სსრ კავშირში ადგილობრივი თვითმმართველობისა და ადგილობრივი მეურნეობის საერთო საწყისების შესახებ.

იმის მტკიცება, რომ ემოციები საკანონმდებლო ორგანოს მუშაობის დროს აშკარა ხელის შეშლაა, როგორც აღმოჩნდა, მხოლოდ ერთი შეხედვით ყოფილა სწორი. არის სიტუაციები, როცა ეს ემოციები ბუნებრივი და საჭიროა. ეს დადასტურდა, როცა განიხილავდნენ დეკლარაციას ძალდატანებით გადასახლებული ხალხების წინააღმდეგ ყველა რეპრესიული აქტის უკანონოდ და დანაშაულებრივად ცნობისა და მათი უფლებების უზრუნველყოფის შესახებ.

„ამ დოკუმენტში საბოლოოდ უნდა დავგმოთ ხალხთა ძალდატანებითი გადასახლება, როგორც ანტისოციალისტური, აბსოლუტურად მართლსაწინააღმდეგო პრაქტიკა. სტალინურ თვითნებობასა და ძალადობას უნდა მიეცეს პოლიტიკური, სამართლებრივი და ზნეობრივი შეფასება, როგორც საბჭოთა ხალხების წინააღმდეგ ჩადენილ დანაშაულს". სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოსადმი მიმართული მ. ს. გორბაჩოვის ეს სიტყვები მოიყვანა **რ. ნ. ნიშანოვმა** საკითხის განხილვის დაწყებისას.

გამოსვლების დროს, საღამოს სხდომაზე კი ოცზე მეტი კაცი გამოვიდა, ხშირად შეიძლებოდა დაგვენახა ცრემლი დარბაზში მყოფთა თვალებზე და, რა თქმა უნდა, არავის არ მოსვლია აზრად გამოეთქვა პროტესტი იმის გამო, რომ **დ. კუგულტინოვი** გადასცდა რეგლამენტს, როცა ითხოვა, რომ მიეცათ თითო წუთი საპყრობილეებსა და ბანაკებში გატარებულ ყოველ წელიწადზე. „ჩეჩნები, ყარაჩაელები, ინგუშები, ბალყარები, ყალმუხები, გერმანელები, თურქები, ყირიმელი თათრები...— ყველა ეს ხალხი დღეს თქვენი და ჩვენი მადლიერი იქნება, მადლობას შესწირავს უფალს ის, ვისაც სწამს, რომ ქვეყნად არის სიმართლე და ამ სიმართლის მატარებლები", — თქვა დეპუტატმა.

ყოველი ორატორი გულისტკივილით ლაპარაკობდა წარსულზე. შემოჰქონდა მრავალი წინადადება. როგორც დეპუტატთა ერთი ნაწილი ფიქრობდა, არაბუნებრივია იმ ხალხების „პოლიტიკური რეაბილიტაცია", რომლებსაც არ ჩაუდენიათ არავითარი დანაშაული. სხვების აზრით კი არ შეიძლება სახელმწიფოს ამ უმნიშვნელოვანეს აქტს ეწოდოს დეკლარაცია, მას უნდა მიენიჭოს დადგენილების სტატუსი. მთელმა რიგმა დეპუტატებმა მხარი დაუჭირეს მასში კონკრეტულ ღონისძიებათა აღნიშვნას, რომლებიც მიზნად ისახავენ რეპრესირებული ხალხების ყველა უფლების აღდგენას, მცირე სამშობლოში მათი დაბრუნების ჩათვლითაც კი, ერთმა დეპუტატმა წამოიძახა კიდეც: „არ მჭირდება მე პოლიტიკური რეაბილიტაცია, დაუბრუნეთ ჩემს ხალხს მიწა, ჩვენი წინაპრების საფლავები". გაისმოდა მოთხოვნები, რომ საჭიროა სახელმწიფოს საჯარო მონანიება, სტალინური ტერორის მსხვერპლთა წინააღმდეგ მისი ისტორიული დანაშაულის აღიარება.

დეპუტატმა ჩრდილოეთ ოსეთიდან **გ. დ. იკაევმა,** კოლეგებს ასეთი სიტყვებით მიმართა: „ჩემთვის გასაგებია ის გულისტკივილი და აღშფოთება, რომელიც გაისმა აქ, გასაგებია მოთხოვნებიც. მაგრამ მინდა, რომ უმაღლესი სახელმწიფო ხელისუფლების თავისი სამართლიანობით უდიდესი აქტი ემსახურებოდეს მხოლოდ ხალხების კონსოლიდაციას, მათი მეგობრობის განვითარებას".

უმაღლესი საბჭო ტაშით შეხვდა ისტორიული დოკუმენტის მიღებას — ასე უწოდეს მას თვით დეპუტატებმა.

საღამოს სხდომის დასასრულს პარლამენტარებს ინფორმაციით მიმართა დეპუტატმა **თ. მ. ბურლაცკიმ.** საერთაშორისო საქმეთა კომიტეტისა და კანონმდებლობის, კანონიერებისა და მართლწესრიგის საკითხთა კომიტეტის სახელით მან წინადადება შეიტანა შეიქმნას სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა კლუბი. ამ წინადადებას მხარი დაუჭირეს.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მეორე სესია მუშაობას განაგრძობს.

ს. ვოზიანოვი, ნ. ჟელეზნოვი, ვ. ოლეინიჩენკო, ა. პეტროვსკი, ე. შიშლინი.

დასასრული. დასაწყისი იხ. „კომუნისტი" № 262.



„ვლ-15" — მთავარი სატვირთო ელმავალი

თბილისის „ელმავალმშენებლის" საწარმოო გაერთიანების სპეციალურ საკონსტრუქტორო ბიუროში გრძელდება მუშაობა ახალი, მძლავრი თორმეტღერძიანი „ვლ-15" ლოკომოტივის სრულყოფისათვის. როგორც ცნობილია, მისი ნიმუში ჯერ კიდევ 1984 წელს შეიქმნა და წარმატებით გაიარა გამოცდა სვერდლოვსკის რკინიგზაზე. ეს ლოკომოტივი მთავარი სატვირთო ელმავალი გახდება და ხელს შეუწყობს მეტი რაოდენობის სახალხო სამეურნეო ტვირთის გადაზიდვას.

სურათებზე: სპეციალური საკონსტრუქტორო ბიუროს მექანიკური განყოფილების კონსტრუქტორები (მარცხნიდან) აკაკი ჯავახიშვილი, გოჩა დვალაძე, იზოლდა ირემაშვილი და ინესა სულაშვილი მუშაობენ „ვლ-15" ელმავლის პროექტის დახვეწაზე; ელმავალი „ვლ-15".

სიმონ კილაძის ფოტო.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს განცხადება

იმასთან დაკავშირებით, რომ ამ დღეებში აღინიშნება ინდოელი ხალხის გამოჩენილი შვილის ჯავაჰარლალ ნერუს დაბადების ასი წლისთავი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭო ჯეროვან პატივს მიაგებს ინდოეთის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის თვალსაჩინო ლიდერს, ჰუმანისტს, დემოკრატიული და უძალადო მსოფლიოს შექმნის დაუცხრომელ ქომაგს.

ახალი ინდოეთის შემოქმედი, რომელსაც წილად ხვდა ეს უზარმაზარი და მრავალსახოვანი ქვეყანა ეტარებინა დამოუკიდებლობისა და პროგრესის გზით, თანამედროვე სახელმწიფოდ მისი გადაქცევის გზით, ჯავაჰარლალ ნერუ დამსახურებულად სარგებლობს დიდი ავტორიტეტით არა მარტო ჩვენს ქვეყანაში, არამედ მთლიანად მსოფლიო გაერთიანებაში.

საბჭოთა ადამიანებისათვის სულისკვეთებით ახლობელია ნერუს აზრები კაცობრიობის, როგორც ერთიანი, ურთიერთდაკავშირებული და ურთიერთდამოკიდებული სამყაროს შესახებ. მისი მისწრაფება საერთაშორისო ურთიერთობაში დაემკვიდრებინა სხვადასხვა საზოგადოებრივი წყობილების სახელმწიფოთა მშვიდობიანი თანაარსებობის ხუთი პრინციპი — „პანჩა"-შილა" — სავსებით შეესაბამება თანამედროვე საერთაშორისო პოლიტიკის ამოცანებს.

იყო რა სახელმწიფოთა შორის ურთიერთობაში ჩაგვრის, თვითნებობისა და დიქტატის მტკიცე მოწინააღმდეგე, ნერუ იღვწოდა ყველა ქვეყნის ნამდვილი თანასწორუფლებიანობისათვის, კოლონიური რეჟიმების ნაშთების სრული ამოძირკვისათვის. ჯ. ნერუმ უაღრესად დიდი წვლილი შეიტანა მიუმხრობლობის მოძრაობის კონცეფციის შემუშავებაში. მის დროს ინდოეთი გახდა ამ მოძრაობის ერთ-ერთი აღიარებული ლიდერი.

საბჭოთა კავშირის გულწრფელმა მეგობარმა ჯ. ნერუმ მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ჩვენი ორი ქვეყნის მეგობრული ურთიერთობის განვითარებასა და განმტკიცებაში. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭო კმაყოფილებით აღნიშნავს, რომ მშვიდობის, მეგობრობისა და თანამშრომლობის ხელშეკრულებით განმტკიცებული ეს ურთიერთობა გახდა მშვიდობისა და სტაბილურობის მნიშვნელოვანი ფაქტორი აზიასა და მთელ მსოფლიოში. ამ მიზნებს ემსახურება ჩვენი ქვეყნების ხელმძღვანელების მ. ს. გორბაჩოვისა და რ. განდის მიერ მიღებული დელის დეკლარაციაც, რომელმაც მსოფლიო გაერთიანებას შესთავაზა ბირთვული იარაღისაგან თავისუფალი და უძალადო მსოფლიოს აშენების პროგრამა.

წლევანდელი წელი ინდოეთში ნერუს წლად არის გამოცხადებული. მისი ასი წლის იუბილეს ფართოდ აღნიშნავენ საბჭოთა კავშირშიც. ჯავაჰარლალ ნერუ, მისი აზრები და საქმეები მარტო ინდოეთს კი არა, მთელ კაცობრიობას ეკუთვნის.

აზუსტებენ რეფორმის სტრატეგიასა და ტაქტიკას

გარდაქმნის პროცესების დაჩქარების იმედებს საბჭოთა ადამიანები უკავშირებენ ეკონომიკური რეფორმის გაღრმავებას. მის განხორციელებას, მათი აზრით, კომპლექსური ხასიათი უნდა მიეცეს, უმნიშვნელოვანესი ღონისძიებანი ეტაპობრივად, თანამიმდევრულად, მტკიცედ უნდა შესრულდეს. ამას რომ მივაღწიოთ, საჭიროა მუდმივი ძიება, მუშაობის სრულყოფა,* შაბლონებზე ხელის აღება.

აი რატომ არის ესოდენ ვრცელი და პასუხისმგებლური საკითხთა წრე, რომლებსაც მოსკოვში მიმდინარე ეკონომიკური რეფორმის პრობლემებისადმი მიძღვნილი საკავშირო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის მონაწილეები იხილავენ. 14 ნოემბერს გაიმართა მისი სექციების სხდომები.

მეცნიერმა ეკონომისტებმა, საწარმოებისა და დარგების ხელმძღვანელებმა, პარტიულმა და საბჭოთა მუშაკებმა, ინჟინრებმა, პროფკავშირულმა აქტივისტებმა დეტალურად შეისწავლეს ისეთი გლობალური პრობლემების პრაქტიკული ჭრილები, როგორიცაა საკუთრების სტრუქტურა და მეურნეობრიობის ფორმები, ტერიტორიული განვითარებისა და რეგიონალური სამეურნეო ანგარიშის საკითხები, საგეგმო და საბაზრო რეგულირების თანაფარდობა, ეკონომიკის მმართველობის ოპტიმალურ ორგანიზაციულ სტრუქტურებს.

დიდი ყურადღება დაეთმო საფინანსო-საკრედიტო სისტემის გარდაქმნის გზებს, შრომითი ურთიერთობის პრობლემებსა და სოციალურ პოლიტიკას, განიხილეს საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ძირეული გარდაქმნის ღონისძიებათა კომპლექსი, პრობლემები, რომლებიც დაკავშირებულია კადრებით ეკონომიკური რეფორმის უზრუნველყოფასთან.

კონფერენციის ფარგლებში გაიმართა აგრეთვე „მრგვალი მაგიდები", რომელთა მონაწილეებმა განიხილეს გარდაქმნის თანამედროვე ეტაპზე პოლიტიკისა და ეკონომიკის ურთიერთკავშირი, გააანალიზეს მეურნეობრიობის მოწინავე საზღვარგარეთული გამოცდილება, ჩვენში მისი გამოყენების შესაძლებლობანი, სამეურნეო გადაწყვეტილებათა მიღებისა და მათი სოციალურ-ეკონომიკური კვლევის შეფასების მექანიზმები. უყურადღებოდ არ დაუტოვებიათ ისეთი აქტუალური თემაც, როგორიცაა საზოგადოებრივ აზრთან, ადამიანთა განწყობილებასთან ეკონომიკის ურთიერთკავშირი.

როგორც პლენარული სხდომა, ისე სექციებისა და „მაგიდების" მუშაობა საქმიანი და დემოკრატიული ხასიათისა იყო. გამოითქვა სხვადასხვა, ზოგჯერ დიამეტრულად საწინააღმდეგო თვალსაზრისები. მაგრამ ყველა მათგანს, მიაჩნიათ კონფერენციის ორგანიზატორებს, აქვს არსებობის უფლება. იმისათვის, რომ რეფორმის მიმდინარეობა გავხადოთ უფრო დინამიკური, გავზარდოთ მისი ეფექტიანობა, გვჭირდება კოლექტიური გონება, ჩვენი საზოგადოების ინტელექტუალური და სამეცნიერო ძალების კონსოლიდაცია.

შემჭიდროებულ ვადებში ესოდენ მნიშვნელოვანი მოცულობის სამუშაოს შესრულებაში დისკუსიის მონაწილეებს დაეხმარა მისი ზუსტი ორგანიზაცია: რადიკალური რეფორმის პრობლემებისადმი მიძღვნილი კონფერენცია საქმიანობის კეთილ მაგალითს გვიჩვენებს.

(საკდესის კორ.)

საკვებწარმოება — დამკვრელური შანი

უპირველესი საზრუნავი

პირუტყვის გამოზამთრების დაწყებამდე დღეებიღა დარჩა. ამის გათვალისწინებით წალენჯიხის რაიონის მეურნეობები მუხლჩაუხრელად შრომობენ საზოგადოებრივი მეცხოველეობისათვის საკუთარი წარმოების მტკიცე საკვები ბაზით უზრუნველსაყოფად. რაიონი მცირემიწიანია და უჭირთ მესაქონლეობაში მიღწეული მაღალი დონის შენარჩუნება. ამიტომაც განსაკუთრებული მოწადინებით ირჯებიან აქაური საკვებმომპოვებლები.

მეცხოველეებმა კარგად იციან, რომ რესპუბლიკის ფარგლებს გარედან შემოტანილი საკვები მათ მიერ წარმოებული პროდუქციის თვითღირებულებას აძვირებს. მაგრამ რა ქნან, როცა სხვა გამოსავალი არ არის? წელს შემოზიდულია 2500 ტონა ნამჯა. ამ საკითხს კომპეტენტური ჩარევა და გონივრული გადაწყვეტა უნდა. იქნებ რეგიონის მცირემიწიანი რაიონებისათვის კოლხეთის ზონაში გამოიყოს ასათვისებელი მიწების ნაწილი. ვფიქრობთ, საზოგადოებრივი მეცხოველეობის საკუთარი საკვები ბაზით უზრუნველყოფის პრობლემა უშუალოდ რესპუბლიკაში უნდა გადაწყდეს. და რაც მალე მოგვარდება ეს საკითხი, მით უკეთესია საქმისთვის, ხომ აჯობებს — „ჩვენი თავი ჩვენვე გვეყუდნეს".

ხუთი ნოემბრისათვის რაიონში დამზადებული იყო 11.710 ტონა სილოსი, რომელმაც თავისი საკვები ღირებულებით სპეციალისტთა მაღალი შეფასება მიიღო. ეს მეტად საპასუხისმგებლო სამუშაო გადაჭარბებით შესრულდა რაიონის ყველა საზოგადოებრივმა მეურნეობამ. ნორმალურად მიმდინარეობს უხეში საკვების — თივისა და ჩალის დამზადება. 2.115 ტონა უხეში საკვები დაზვინულია ფერმების ტერიტორიაზე, მისი დამზადება გრძელდება.

საჭირო ყურადღება დაეთმო მეცხოველეობისათვის შუალედური კულტურების მოყვანას. წელს ისინი დაითესა 245 ჰექტარზე, მათ შორის ტურნეფსი — 144, რაფსი კი 101 ჰექტარზე. შუალედური კულტურების საუკეთესო ნათესები აქვთ აგროსამრეწველო კომბინატს, ჯგალის კვარაცხელიას, ობუჯის, ნაკიფუს მეურნეობებს და სტალინის სახელობის კოლმეურნეობებს. რაიონის საზოგადოებრივ მეურნეობათა მეცხოველეობის ფერმებში უკვე ეძლევა პირუტყვს აღნიშნული საკვები მწვანე მასის სახით. დღემდე 200 ჰექტარზეა დათესილი ბარდანარევი შვრია, მისი თესვა გრძელდება.

რაიონის მეურნეობებს განზრახული აქვთ მიმდინარე გამოზამთრებისათვის სეზონის ბოლომდე ერთ პირობით სულზე გაანგარიშებით დაამზადონ 17,2 საკვები ერთეული, რაც ურიგო მაჩვენებელი როდია. მეცხოველეობის ფერმები მზად შეხვდნენ პირუტყვის გამოზამთრების დაწყებას. შეკეთდა და კეთილმოეწყო საქონლის სადგომები და მწყემსთა ბინები. ცხრა კოლმეურნეობაში გამართულად მუშაობს საკვებდამქუცმაცებელი საამქრო. ამ დღეებში ამოქმედდა ნაკიფუს კოლმეურნეობის მეცხოველეობის კეთილმოწყობილი კომპლექსი. მალე ახალ ფერმაში დაიდებს ბინას ჯგალის კვარაცხელიას სახელობის კოლმეურნეობის პირუტყვი.

პარალელურად მიმდინარეობს მარცვლეული კულტურების მოსავლის აღება-დაბინავება. აქ უპირატესად კულტივირებულია სიმინდი. თუმცა ნათესი ფართობების რაოდენობა და ჰექტარობრივი მოსავლიანობა დიდი არ არის აქაური ნიადაგის თავისებურების გამო, მაგრამ იგი მაინც პატივით სარგებლობს. წელს სიმინდი სამარცვლედ და სასილოსედ დაითესა 937 ჰექტარზე. უკვე ყოველი ჰექტარიდან საშუალოდ მიღებულია 30 ცენტნერი მარცვალი. სიმინდის აღება გრძელდება.

ბაჩა ჩარიბაია,
„კომუნისტის" საკ. კორ.

ახალი ეკონომიკური აზროვნება და მისი განხორციელების გზები

ახალი ამქარი? რატომაც არა...

დღეს უკვე ყველანი ვხედავთ: აღარ არსებობს კრიზისული სიტუაციების დაძლევის დადგენილი გზები და მზა რეცეპტები. საზოგადოების მზარდ პოლიტიზაციას, რაც უთუოდ მისი გაჯანსაღების მანიშნებელია, უნდა მოჰყვეს აზრთა ჭიდილში შობილი ლოგიკური სქემების მკაფიოდ ჩამოყალიბება და ხორცშესხმა.

ჭეშმარიტი კონსოლიდაციის მიღწევად ქვეყნის სოციალურ სტრუქტურაში ყოველ საზოგადოებრივ ძალას, ყოველ ფენასა თუ ჯგუფს თავისი პოზიციის შემუშავების, ჩამოყალიბებისა და გამოხატვის საშუალება უნდა მიეცეს. რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის გაძლიერება, ეკონომიკური სუვერენიტეტის მოპოვება, შენარჩუნება და შემდგომი განვითარება, უმთავრესი ამოცანაა სრული დამოუკიდებლობის მიღწევის გზაზე. ამასთან რესპუბლიკის ყოველმა მოქალაქემ თავისებურად უნდა გაითავისოს ეს იდეა და კონკრეტულად განსაზღვროს თავისი პირადი წვლილი მის განხორციელებაში.

საზოგადოების სხვა წარმომადგენლებთან ერთად რესპუბლიკის სუვერენიტეტის განხორციელებაში განსაკუთრებული როლი განეკუთვნებათ სახალხო მეურნეობის სპეციალისტებსა და ხელმძღვანელებს. იმათ, ვინც ავად თუ კარგად, მაგრამ ამჟამად რეალურად უძღვება წარმოებას, ვინც უშუალოდ სხვაზე უკეთ იცის „ფარული ეკონომიკის" ანატომია, და ამდენად ყველაზე მკაფიოდ, პრაქტიკულად აქვს წარმოდგენილი სახალხო მეურნეობის რეალური მდგომარეობა, რის ღრმისეულად შესწავლისა და ანალიზის გარეშეც ყოველგვარ აზრს კარგავს ეკონომიკის გარდაქმნაზე საუბარი.

წარსულში, მაგალითად, მნიშვნელოვანი სახალხო-სამეურნეო პროექტების განხილვის დროს არაერთხელ დაუპირისპირებიათ ერთმანეთისათვის ჰუმანიტარული და ტექნიკური ინტელიგენცია. არაერთხელ წამოჭრილა აზრი, თითქოს ახალი ობიექტების მშენებლობის, ან არსებულთა ლიკვიდაცია-კონსერვაციის საკითხთა გადაწყვეტა მხოლოდ სპეციალისტების საქმე იყოს, და პირიქით. დღესდღეობით საზოგადოებრივი აზრი სულ უფრო აქტიურდება, ამიტომ საფიქრებელია, რომ ჰუმანიტარული და ტექნიკური ინტელიგენციის თანამშრომლობის ახალი, ეფექტიანი ფორმების შემუშავებაზე ზრუნვა აქედანვე საჭიროა.

ამგვარი თანამოქმედების უაღრესად ეფექტიან და ნაყოფიერ საფუძვლად შეიძლება იქცეს კომერციული საწყისი. ამ სიტყვამ არ უნდა შეგვაშინოს. მთელ მსოფლიოში არ არსებობს განვითარებული ქვეყანა, სადაც კომერსანტი სალანძღავ სიტყვად მიჩნეული იყოს. საგულისხმოა, რომ ილია ჭავჭავაძეს კარგად ესმოდა ჯანსაღი კომერციული საწყისის როლი საზოგადოების განვითარებაში. იგი უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდა საქართველოს საადგილმამულო ბანკის შექმნასა და საქმიანობას. დღეს, როდესაც საქართველოს სრული სუვერენიტეტის რეალური განხორციელების პრობლემა ასე მწვავედ არის წამოჭრილი, შეცდომა იქნებოდა იმის უგულებელყოფა, რომ პოლიტიკური სუვერენიტეტის უმთავრესი გარანტია სწორედ მტკიცე ეკონომიკა და ჯანსაღი საფინანსო-საკრედიტო სისტემაა. ამის მიღწევა კი ძალზე ძნელია მხოლოდ მთავრობისა და დირექტიული ორგანოების ძალებით, ფართო საზოგადოებრიობის, საქართველოს მთელი ხალხის უშუალო მონაწილეობისა და აქტიური მხარდაჭერის გარეშე.

მომავალ საქართველოში ყოველი პროფესია პრესტიჟული და საპატიო უნდა იყოს და ეს უნდა უზრუნველყოს დახვეწილმა პროფესიონალიზმმა. მუშამ კარგად უნდა აკეთოს მუშის საქმე, ექიმმა — ექიმისა, ვაჭარმა — ვაჭრისა. ყოველივე ეს უკავშირდება აზროვნების ძველი შტამპების და სტერეოტიპების მსხვრევას, ჩვენი აზროვნების პრაქტიკული შინაარსით გამდიდრებას. ამ პროცესს მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს ახალი საზოგადოების შექმნა, რომელსაც პირობითად შეიძლება „საქართველოს მოღვაწეთა ახალი ამქარი" ვუწოდოთ. რასა იქმს ეს ამქარი? იგი არ იქნება საზოგადოებრივი ორგანიზაცია კლასიკური გაგებით. მან უნდა იტვირთოს საქართველოს ეკონომიკური გაძლიერების, ამ საქმეში საზოგადოების სხვადასხვა ფენის პრაქტიკული წვლილის გაფართოების, სახალხო მეურნეობაში ჯანსაღი კომერციული და საწარმოო ინიციატივის ყოველმხრივი განვითარების პირობების შექმნის ერთგვარი მეთოდიკური შტაბის ფუნქციები. ამქარმა, რომელშიც წევრებად შევლენ საქართველოს ფართო საზოგადოებრიობის, მეცნიერების, კულტურის, წარმოებისა და სხვა სფეროების წარმომადგენლები, უნდა შეძლოს მათი ურთიერთობის უშუალო, არაფორმალიზებული ატმოსფეროს შექმნა. ეს უნდა იყოს თანამოაზრეთა კლუბი, რომლის საქმიანობის ერთ-ერთი ძირითადი მიმართულება იქნება თითოეული ადამიანის პირადი წვლილის გაზრდა თავისი ქვეყნის ეკონომიკურ გაძლიერებაში. ქართველ მოღვაწეთა ახალი ამქარი უნდა იქცეს იმ რგოლად, რომელიც სათავეს დაუდებს სხვადასხვა სახისა და ტიპის საწარმოო, ფინანსური და სამეცნიერო-ტექნიკური ინსტიტუტების შექმნასა და განვითარებას.

ამჟამად რესპუბლიკის მოსახლეობაში შესაბამისი სასაქონლო უზრუნველყოფის არმქონე დიდძალი თავისუფალი ფულადი სახსრებია თავმოყრილი (დაახლოებით 10 მილიარდ მანეთამდე, რაც თითქმის სამჯერ აღემატება რესპუბლიკის წლიურ ბიუჯეტს). საჭიროა გამოინახოს ამ სახსრების მობილიზაციის, ეროვნული საქმის სამსახურში ჩაყენების ქმედითი ფორმები და მეთოდები. თუ რამდენად შეესაბამება გაზრდილ მოთხოვნებს თანამედროვე საფინანსო-საკრედიტო სისტემა, ამას თავად სსრკ სახბანკის საქართველოს რესპუბლიკური ბანკის გამგეობის თავმჯდომარე, ვ. პატეიშვილი ამბობს გაზეთ „კომუნისტში" გამოქვეყნებულ სტატიაში „როგორი ბანკი გვჭირდება": „...როცა ვლაპარაკობთ, რომ საზღვარგარეთის განვითარებულ ქვეყნებში მრავალრიცხოვანი ბანკები მოქმედებენ, არ უნდა დავივიწყოთ, თუ რომელ ბანკებზეა ლაპარაკი. ჩვენთან აპარატია, მათთან კი საქმიანი სპეციალისტებით დაკომპლექტებული კომერციული ბანკები. იქაურ ბანკირს არავინ თვლის მართვის ბიუროკრატიული აპარატის წარმომადგენლად, თითოეული მათგანი სახელმწიფო ეკონომიკის მძლავრი მამოძრავებელი ძალაა.

თუ გვინდა, რომ მართლაც შეიქმნას სახალხო მეურნეობისათვის ხელსაყრელი კონკურენცია ბანკებს შორის, ჩვენი ენერგია უნდა წარვმართოთ არა სახელმწიფო ტიპის ბანკების მომრავლებისათვის, არამედ კომერციული და კოოპერაციული ბანკების შექმნისათვის. ისინი დემოკრატიულ საწყისებზე იმუშავებენ და გადაიქცევიან რესპუბლიკის ეკონომიკის სერიოზულ სტიმულატორად".

განვითარებულ კაპიტალისტურ და სოციალისტურ ქვეყნებში უკვე კარგა ხანია ამ პრინციპით მოქმედებენ. მაგალითად, ფინეთში, რომლის მოსახლეობაც დაახლოებით ჩვენი რესპუბლიკის მოსახლეობას უტოლდება, 635 ბანკია, გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში გერმანიის ფედერალური ბანკის (ბუნდესბანკი) გარდა 308 კომერციული ბანკი და 4.354 სპეციალური საკრედიტო ინსტიტუტი ფუნქციონირებს.

ერთ ხელში თავმოყრილ მილიონ მანეთს, ცხადია, განუზომლად მეტი ძალა აქვს, ვიდრე მილიონ ხელში გაფანტულ თითო-თითო მანეთს. ყოველგვარი ბანკის საქმიანობის უზოგადესი პრინციპიც სწორედ ეს გახლავთ: ხელსაყრელ პირობებზე ისესხოს დროებით მეანაბრეთაგან თავისუფალი ფულადი სახსრები, თავი მოუყაროს და შეგროვილი თანხა წარმოებაში დააბანდოს. წარმოებიდან მიღებული მოგება ნაწილდება საკუთრივ ბანკსა და მეანაბრეებს შორის.

თანამედროვე ბანკი ურთულესი ორგანიზაციაა, რომლის პირდაპირ, ზემოდან დანერგვამაც შესაძლოა მოსალოდნელი შედეგი არც მოგვცეს, რადგან ბანკის ჩამოყალიბებისათვის, ალბათ, აუცილებელია თავის განვითარების პროცესში სხვადასხვა საფეხური გაიაროს. ეროვნული დანიშნულების სახალხო ბანკის დაარსებაზე ზრუნვა, ალბათ, უნდა დაიწყოს არა საკუთრივ ბანკის, არამედ სხვადასხვა სააქციო საზოგადოების შექმნით.

სააქციო საზოგადოების არსი სრულად შეესაბამება ბანკების ფუნქციონირების უზოგადეს პრინციპებს, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ ბანკის საქმიანობის მასშტაბები, წესისამებრ, უფრო დიდი და მრავალფეროვანია. გარდა ამისა, სააქციო საზოგადოება სახსრებს აკუმულირებს კონკრეტულად არსებული პროექტის განხორციელების მიზნით, ამასთან პროცესს უშუალოდ მართავენ აქციონერები.

გასათვალისწინებელია, რომ წარმოების ორგანიზაციის სააქციო ფორმა აბსოლუტურად არ ეწინააღმდეგება ეკონომიკის გაჯანსაღების მთავრობისეულ კურსს. „საქართველოს ეკონომიკური დამოუკიდებლობის ძირითადი პრინციპების" პროექტში აღნიშნულია, რომ „...საკუთრება მთელი თავისი სახესხვაობებით შეიძლება რეალიზებულ იქნეს სახელმწიფო, კოოპერაციული, სააქციო, სახელმწიფო-სააქციო.. კერძო და კერძო-სააქციო საწარმოების მეშვეობით".

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მეორე სესიაზე ამხანაგმა ნ. ი. რიჟკოვმა აღნიშნა: „...ამ პრობლემების გადაჭრაში სერიოზული იმედები უკავშირდება სააქციო ფორმების განვითარებას. კერძოდ, სახელმწიფო საწარმოებთან შეფარდებითაც. ჩვენ შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ფასიანი ქაღალდების ბაზრის ფორმირებასთან საბაზრო ურთიერთობების განვითარების კვალობაზე ჩვენს ქვეყანაში სულ უფრო აქტიურად წარიმართება სახელმწიფო სააქციო საზოგადოებათა ფორმად საწარმოთა გარდაქმნის პროცესი...".

დღეისათვის საბჭოთა კავშირში არსებული სააქციო საზოგადოებების აქციონერები სხვა ორგანიზაციების ან იმავე საწარმოს შრომითი კოლექტივის წევრები არიან. როგორც ამას ითვალისწინებს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1988 წლის 15 ოქტომბრის დადგენილება „წარმოებისა და ორგანიზაციების მიერ ფასიანი ქაღალდების გამოშვების შესახებ". ამასთანავე, რეალურად უკვე იდგმება ნაბიჯები მოქალაქეებისათვის ფასიანი ქაღალდების მისაყიდად. სსრკ მინისტრთა საბჭოს ორგანოს „პრავიტელსტვენი ვესტნიკის" 1989 წლის ოცდამეერთე ნომერში მოთხრობილია სახალხო სააქციო საზოგადოების ელაბუგის ავტომობილების ქარხნის შესახებ, რომლის თანამფლობელიც შეიძლება ნებისმიერი მოქალაქე გახდეს. სააქციო საზოგადოებები შეიქმნა ლვოვის საწარმოო გაერთიანება „კონვეიერთან"; ნიკოლაევ-ლვოვის სამშენებლო კონსტრუქციების კომბინატთან, ქარხანა „რაფთან", აგროფირმა „ადაჟთან" და სხვ. ამჟამად სსრკ მინისტრთა საბჭო ამუშავებს კანონს, რომელშიც აისახება კერძო პირთათვის აქციების მიყიდვის უფლება.

აქედან გამომდინარე იკვეთება ქართველ მოღვაწეთა ახალი ამქარის კონკრეტული ამოცანა — ხელი შეუწყოს, საფუძველი მოუმზადოს საქართველოში სააქციო საზოგადოებების გავრცელებას, საჭიროების შემთხვევაში კი შესაბამისი საკანონმდებლო ინიციატივების წამოყენებას, რამაც შემდგომში უნდა მიგვიყვანოს ეროვნულ სახსრებზე დაფუძნებული საფინანსო-საკრედიტო ინსტიტუტების წარმოქმნამდე. ხაზი უნდა გაესვას, რომ აქ საუბარია მხოლოდ ხელის შეწყობაზე და არა ფინანსური გაჯანსაღების პანაცეაზე, რაღაც ეკონომიკური უკვდავების წყლის შექმნაზე. სამეურნეო და კომერციული ინიციატივის გამოთავისუფლებისა და მისი ეროვნულ კალაპოტში წარმართვის ამოცანა მოითხოვს საწარმოო-ტექნიკური, შემოქმედებითი და ჰუმანიტარული ინტელიგენციის ძალისხმევის გაერთიანებას, საქართველოს ინტელექტუალური ძალების კონსოლიდაციას მათი პოლიტიკური და მსოფლმხედველობითი შეხედულებების მიუხედავად.

ეს — საკითხის ეკონომიკური მხარე. არის მეორე, თუ შეიძლება ასე გამოითქვას, ზნეობრივი თვალსაზრისიც. როგორც ისტორიული გამოცდილება ადასტურებს, ეკონომიკურ საფუძველზე

(დასასრული მე-4 გვ.).

სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკის განცხადება

უკანასკნელ ხანს სსრ კავშირის სახბანკსა და სსრ კავშირის საგარეო ეკონომიკურ ბანკს მიმართავენ შეკითხვებით ეგრეთ წოდებული ვარდისფერი (ცისფერი, თეთრი) სხვადასხვა ღირსების გადასაპირებელი თამასუქების გამო, რომლებიც, თითქოსდა, სსრ კავშირის სახბანკმა საბჭოთა მანეთებად გამოუშვა ანაზღაურებისათვის წარმოდგენის უფლებით, მათ შორის თავისუფლად კონვერტირებადი ვალუტის სახით.

ამასთან დაკავშირებით სსრ კავშირის სახბანკი აცხადებს, რომ არც მას, არც სსრ კავშირის საგარეო ეკონომიკურ ბანკს, არც მათი დავალებით რომელიმე სხვა საბჭოთა საბანკო და საფინანსო დაწესებულებას არასდროს არ გამოუცია ასეთი ვალდებულებანი არც სსრ კავშირში, არც საზღვარგარეთ.

აქედან აშკარაა, რომ სსრ კავშირის სახბანკი ან საბჭოთა კავშირის სხვა საბანკო და საფინანსო დაწესებულებები ვერ იქნებიან ამ ნაყალბევი ვალდებულებების გარანტები და არ ეკისრებათ არავითარი პასუხისმგებლობა მათი გამოყენების ნებისმიერ ოპერაციასთან დაკავშირებით.

ითვალისწინებს რა ზემოთ თქმულს, სსრ კავშირის სახბანკს საჭიროდ მიაჩნია გააფრთხილოს საბჭოთა ორგანიზაციებთან მოთანამშრომლე მხარეები, რომ უკანონოა საბჭოთა მანეთებად გამოხატული ვარდისფერი ან სხვა ფერის გადასაპირებელი თამასუქებით ყოველგვარი ოპერაციები.

საქართველოს კურორტები

ამდენი კითხვითი ნიშანი?

ვინ გვიპასუხებს და როდის...

აჭარის ზღვისპირეთზე ბევრი რამ თქმულა და დაწერილა. ვინ არ ალტაცებულა მისი ლამაზი ბუნებითა თუ კლიმატური პირობებით, მაგრამ... აუგიც ბევრს დასცდენია — უწინარესად იმიტომ, რომ თითქმის ბედის ანაბარადაა მიტოვებული და კაცის ხელი იშვიათადღა თუ წყალობს ამ ღვთის წყალობას. ახლახან პოლონეთისა და თურქეთის გაზეთების რედაქტორები, თურქი და იაპონელი საქმიანი წრეების წარმომადგენლები ეწვივნენ აჭარას და ვერც ისინი ფარავდნენ აღფრთოვანებას აქაურობით.

მაგრამ... ვის ხელშია ეს ბუნებრივი სიმდიდრე, ვინ უნდა ჩააყენოს იგი მთელი თავისი სიკეთით ხალხის სამსახურში? — აი კითხვები, რომლებიც ასე აწუხებს ყველას, ვისაც მეტ-ნაკლებად მაინც აინტერესებს ამ რეგიონისა და, საერთოდ, საქართველოს ხვალინდელი დღე.

ჯერ კიდევ გასული საუკუნიდან ეპატრონებოდნენ რუსი ჩინოვნიკები თუ გავლენიანი მოხელეები სხვადასხვა გზით ზღვისპირეთს — ზოგი საგარაკოდ, ზოგიც სუბტროპიკული კულტურების გასაშენებლად იყენებდა რჩეულ ადგილებს. ვინ იყო განმკითხავი?!.

ერთი შეხედვით, აქაურობას, თითქოსდა, არ აკლია ჯანმრთელობის კერები — ფიჭვნარსა და ქობულეთში, ბობოყვათსა და ციხისძირში, მწვანე კონცხზე და მახინჯაურში, თვით ბათუმში ათობით სანატორიუმი თუ ტურბაზაა, მაგრამ... ვის ეკუთვნის ისინი, როგორ პატრონობენ, და რა გზით ვითარდება ადგილობრივი კურორტები? საქმეში ღრმად თუ ჩაეხედავთ, ვერც სხვა კითხვებს ავუვლით გვერდს: ასე ზოზინ-ზოზინით რატომ ვითარდება აჭარის კურორტები, რატომ ფუნქციონირებს ჯერ კიდევ რევოლუციამდელი, პრიმიტიული ნაგებობანი, რომლებიც ვერა და ვერ აკმაყოფილებენ თანამედროვე მოთხოვნებს; ვინ არის ამა თუ იმ კურორტის ძირითადი პატრონი, და ვინ რისთვის აგებს პასუხს? ზემდგომ ორგანოთა დადგენილებისა თუ საზოგადოების კატეგორიული მოთხოვნის მიუხედავად, რატომ ვერ ვინარჩუნებთ ქობულეთის საუკუნოვან ფიჭვნარს? „ძლიერნი ამა ქვეყნისანი" რა გზით ახერხებენ განსაკუთრებით გამორჩეულ ადგილას აიშენონ ძვირადღირებული ნაგებობანი? ფიჭვნარის დასაწყისშივე, ზედ ზღვისპირას, სადაც ჯანმრთელობის შესანიშნავი კომპლექსები შეიძლება აიგოს, სოკოებივით რად მომრავლებულან სამხედრო ნაწილთა საწყობები თუ ყაზარმები? მათ ხომ არავითარი სტრატეგიული დანიშნულება არა აქვთ?! რა წვლილი შეაქვთ ამ რეგიონში მოქმედ საკავშირო თუ რესპუბლიკური დანიშნულების ჯანმრთელობის კერებს აჭარის კურორტების განვითარებაში, კაბალურ მდგომარეობაში ხომ არ გვაგდებენ ისინი?

და ბოლოს, ერთ უმტკივნეულეს საკითხზე შევჩერდეთ: ისტორიული გონიოს ციხიდან, ასე, სამასიოდე მეტრზე გაუმართავთ საჯარისო ფორმირების პოლიგონი, სატანკო ნაწილის საწვრთნელ-სავარჯიშოდ. იქვე ცხრასართულიანი საცხოვრებელი სახლებია. წარმოიდგინეთ, რა დღეშია მოსახლეობა, რა საფრთხეშია ბებერი ციხის კოშკები თუ მაღლივი ნაგებობანი. ახლა მიწას არ იკითხავთ? — პოლიგონს ისეთი ნაყოფიერი სავარგულები უკავია (დაახლოებით ასოცდაათამდე ჰექტარი), უკეთესს ვერც კი ინატრებდა მცირემიწიანობით შეჭირვებული აჭარელი გლეხკაცი. სტიქიით გაწამებული აქაური მოსახლეობა სადღა აღარ მიგვყავს კერის ხელახალი დასაფუძნებლად მაშინ, როცა საკუთარი მიწა-წყალი თავისად ვერ დაუგულებია! და არტილერიის ზალპების „მრავალჟამიერით" მიაცილებს თვალცრემლიან, მშობლიური კერიდან აყრილ აჭარელთ სამხედრო პოლიგონი, რომლის ყოფნა-არყოფნა ჯერაც არ გამხდარა საჯარო მსჯელობის საგანი. საზღვრისპირა ზონას დაცვა რომ სჭირდება, ბალღმაც კი იცის, მაგრამ პოლიგონი რაღა საჭიროა?! გაწვრთნან, ბატონო, ჯარისკაცები საბჭოთა კავშირის იმ ტერიტორიაზე, სადაც ძეხორციელის ჭაჭანებაც არ არის, ცოტა როდია უდაბნო!... საკითხავია, ვინ უნდა აღიმაღლოს ხმა ამ უსამართლობაზე? ალბათ, ისევ და ისევ საზოგადოებრიობამ, იმავე სალმა აზრმა, რამაც ხმა და ხელი ერთად შეაშველა დავითგარეჯს. მაინც რა ბედისანი ვართ... მშობლიური მიწა-წყალი, რომელსაც ხმლით და სისხლით იცავდნენ მამა-პაპანი, ახლა სამშობლოს მცველთაგან უნდა დავიცვათ?! რაკი ასეთი დროებაც დაგვიდგა, არც ჩვენ უნდა მოვალიდოთ კარი. ქართული მიწის დაცვა იმასაც როდი ნიშნავს, სხვა ეროვნების მოქალაქეს არ მივყიდოთ, ანდა არ მივასხვისოთ იგი.

ახლახან ქობულეთის რაიონის ხელმძღვანელობასთან და სპეციალისტებთან ერთად ერთხელ კიდევ დავინტერესდით ზღვისპირა ნაგებობებით.

ფიჭვნარში დაახლოებით 3 ჰექტარი უკავია ტიუმენის გაზმომპოვებელთა სამმართველოს პანსიონატ „ჩირაღდნის" კორპუსებს. იგი 1975 წელს ამოქმედდა. ზაფხულობით პანსიონატში პიონერთა ბანაკია გახსნილი. ზამთრობით კი, მთელი 4 თვე, უქმადაა. დანარჩენ დროს საგზურებით ჩამოდიან დამსვენებლები. როგორღა მოხვდნენ ტიუმენელები ქობულეთში? მაშინ საქალაქო საბჭოს აღმასკომს ქალაქის კეთილმოსაწყობად თანხები არ ჰყოფნიდა და ტიუმენელებსაც უსარგებლიათ — მილიონი მანეთი გადმოურიცხავთ, თურმე. შემდგომშიც ამარაგებდნენ და ამარაგებენ მანქანებით, მილებით, ბითუმით. ერთი შეხედვით, ისინი ვალში არ რჩებიან ქობულეთელებთან, მაგრამ... ასე ჰექტრობით თუ ვარიგეთ ჩვენი ზღვისპირეთი, კაი დღე დაგვადგება ხვალ-ზეგ.

იქვე, მეზობლად, ნაკლები ტერიტორია როდი უკავია „ცენტროსოიუზის" დასასვენებელ სახლს „ქობულეთს". საგზურებსაც მთლიანად საკავშირო ორგანიზაცია ანაწილებს. ეს ორგანიზაცია 100 ათას მანეთს გამოყოფს ყოველწლიურად ქალაქის კეთილმოსაწყობად და ახლახან კლუბიც აშენდა მთავარ კორპუსთან. ოღონდ ეგ არი, ასე თანდათან ივსება დამხმარე სათავსოებითა თუ სხვა ნაგებობებით მთელი ზღვისპირეთი. ასე ცალ-ცალკე თუ აშენეს კლუბი, ბიბლიოთეკა და სხვა ნაგებობანი...

ინტურისტის სასტუმრო „კოლხეთს" 2,8 ჰექტარი გამოუყვეს. სასტუმროს ერთ-ერთ სართულზე 400-ადგილიანი დარბაზია, სადაც სიმპოზიუმები და მხატვრული ღონისძიებები იმართება. მაგრამ რა მოგება აქვს რაიონს? არავითარი — „ინტურისტს" ქობულეთის ზღვისპირეთის კეთილმოსაწყობად არც სოლიდური თანხები აქვს, და, მით უმეტეს, აღარც ვალუტა, ამასთან, მოგების დიდი ნაწილი სააქციო გაერთიანებას მიაქვსო, — გვითხრეს.

თუ საკავშირო ფირმის („ინფორმკომის") გაანგარიშებას ვერწმუნებით, ბათუმში იჯარით აღებული თითოეული ჰექტარი ნაკვეთის ღირებულება 40-დან 53 ათას მანეთამდე აღწევს. თუ ასეა, ქობულეთის საკურორტო ზონა ნაკლებად არ უნდა იყოს შეფასებული. და ეს იმ უწყებებმაც უნდა უწყოდნენ, რომლებიც ასე განუკითხავად სარგებლობენ ზღვისპირეთის სიკეთით.

ბობოყვათში ამ ათიოდე წლის წინათ აშენდა პანსიონატი „სოვეტსკი", რომელიც უწინ სსრ კავშირის მშენებლობის სამინისტროს ეკუთვნოდა. სამინისტროს გარდაქმნის შემდეგ პანსიონატი კვლავ საკავშირო დაქვემდებარებაში დარჩა. მას 4 ჰექტარი ფართობი უკავია ზღვისპირას და ყოველწლიურად 6000 კაცს მასპინძლობს. ჩვენი რესპუბლიკის მშენებლებზე კი საგზურთა მხოლოდ 2 პროცენტი მოდის (?!).

ბობოყვათის ზღვისპირეთი ძალზე ხელსაყრელია კურორტის განვითარებისათვის. მალე იგი მეორე ბიჭვინთა გახდება, ალბათ. მეცნიერებათა აკადემიის 16-სართულიანი დასასვენებელი სახლის მშენებლობა უკვე მთავრდება და სხვა ჯანმრთელობის კერებიც შენდება. რაკი კურორტის მომავალს ვეხებით, საკითხავია რატომ არ შენდება ერთი საერთო საქვაბე, რომელიც თანაბრად მოემსახურებოდა აქ განლაგებულ ობიექტებს? ცალკეული საქვაბეები ხომ ერთობ ამახინჯებენ აქაურობას. სად არის გამკითხავი, ეს არის ეკოლოგიისათვის ბრძოლა? ამის თაობაზე ქობულეთის რაიაღმასკომს კი მიუღია შესაბამისი დადგენილება, მაგრამ ზემდგომ ორგანოებში არა და არ წყდება დადებითად ეს საკითხი.

რაკი ბობოყვათის ზონას შევეხეთ, ვერც ერთ მეტად მტკივნეულ საკითხს ავუვლით გვერდს: ამ ათიოდე წლის წინათ მთის ერთ-ერთ პლატოზე საგარაკო სახლს ჩაუყარა საფუძველი ქობულეთის საკოლმეურნეობათაშორისო სამშენებლო საბჭომ. ერთი გავლენიანი კაცისთვის შენდებაო, ამბობდნენ მაშინ და პრესაშიც კი დაიწერა ამის თაობაზე. მოგვიანებით რომელიღაც ორგანიზაციისათვის გადაუციათ იგი და დღემდე გამოკეტილია. ხალხს ჯერ ეს არ დავიწყნია და იქვე მორიგი კურიოზი მოხდა: ზედ ზღვის პირას, პირდაპირ ნაძენარში გაჩაღდა მშენებლობა! ტერიტორიას ცენტრალური გზის მხრიდან შემოავლეს ძვირადღირებული ღობე, ზღვიდან კი ნავმისადგომის მშენებლობას შეუდგნენ. ყოჩაღად იმუშავეს, და აი, გამოჩნდა კიდეც ქართული სტილით ნაგები ორ-სამსართულიანი, კრამიტით დახურული და ხის რიკულებით დამშვენებული ბანიანი სახლები. არც საცურაო აუზი გამორჩენიათ. ამ კომპლექსს, რომელიც საქართველოს მინისტრთა საბჭოს ეგიდით აშენდა, დედათა და ბავშვთა პანსიონატი კი ეწოდა, მაგრამ ყველამ კარგად იცოდა, რომ ის რესპუბლიკის მაშინდელი ხელმძღვანელებისათვის იყო განკუთვნილი. მხოლოდ შარშან ზაფხულს გაიღო „პანსიონატის" კარი და ისიც... ერთი თვით.

ვინ ისვენებდა? ძლიერნი ამა სოფლისა! ცენტრალურ ტრასაზე ავტოინსპექციამ 30 კილომეტრამდე შეზღუდა ტრანსპორტის მოძრაობა და ღედაღამ ორგანოს თანამშრომლები დარაჯობდნენ იქაურობას. ასეთი რადიკალური ღონისძიებები, ბუნებრივია, მითქმა-მოთქმას იწვევდა და ახლახან ჩვენც მოგვეცა იქაურობის დათვალიერების საშუალება. მართლაც რომ, ნახვად ღირს, მართლაც რომ, არქიტექტურისა და ხელოვნების ნიმუშია. ნაგებობებს ორმაგი სახურავი აქვს — უჟანგავი თუნუქი კრამიტითაც გადაუხურავთ. ვესტიბიული, ჰოლი, ოვალური კიბეები, ბანიანი აივნები ძვირფასი ხით მოუპირკეთებიათ, აღარც ფერადი მარმარილო და გრანიტი დაუშურებიათ... მოკლედ, „ხალხის მსახურს" რომ ეკადრება, სწორედ ისე გაუფუფუნებიათ იქაურობა. კი ითქვა, რაიონს სამშობიარო სახლი არა აქვს და კომპლექსიც ამ კეთილშობილურ საქმეს მოვახმაროთო, მაგრამ.. ვისაც ეს ნაგებობა უნახავს, ფიქრადაც არ გაივლებს ამას, და აღარც რაიონის მთავარი ექიმი იზიარებს ამ აზრს — მორიგი დანაშაული იქნება მათი გადაკეთება და ამ ნახელავის ხელის ხლებაო! არის მოსაზრება, რომ სასტუმროდ გამოიყენონ ეს სახლები. მით უმეტეს, რომ რაიონს ერთი რიგიანი სასტუმროც კი არ გააჩნია. იგი უცხოურ ვალუტასაც შეგვძენდა და ერთი წლის შემოსავალიც კი აგვიშენებდაო ნებისმიერ სამშობიარო სახლს.

აჭარის ზღვისპირეთი რესპუბლიკამ განსაკუთრებული დანიშნულებით, უწინარესად ეროვნული თვალსაზრისით უნდა გამოიყენოს. სადღაა უქმად დასაკარგი და მოსაცდენი მიწა?! არადა, ამის ნიმუშს იმდენს შეხვდებით, რამდენსაც მოისურვებთ. აი, მაგალითად, ფიჭვნარის ზონაში ტყიბულისა და სხვა ქალაქების პიონერთა ბანაკებია, რომელთაც ათობით ჰექტარი საუკეთესო ნაკვეთები უკავიათ. ისინი ორ-სამ თვესღა ფუნქციონირებენ ზაფხულობით, დანარჩენ დროს კი გამოკეტილია. ზიანდება ნაგებობები, ინსტება დგამ-ავეჯი და თეთრეული, სოლიდური თანხა იხარჯება მეეზოვეებსა და დარაჯებზე. აღნიშნული ორგანიზაციები კურორტის კეთილმოწყობაშიც არ მონაწილეობენ. მეტიც, დასუფთავებისა და სხვა კომუნალური დანიშნულების გადასახადებსაც კი არ იხდიან..

ფიჭვნარის ზონაში სხვა პრობლემებიცაა მოსაგვარებელი და, რაც შეიძლება დროულად. ზღვის სანაპიროზე სამხედრო ნაწილებმა თვითნებურად დააწესეს შეზღუდული ზონა და დიდი მონაკვეთიც დაიკავეს. ბათუმში მოქმედ ჰოსპიტალს დაახლოებით ნახევარი ჰექტარი უკავია. სად ბათუმი და სად ქობულეთი? მათ შორის მანძილი ხომ 35 კილომეტრია! ეზოში სატვირთო ავტომანქანები დგას. გრძელ ყაზარმაზე მინის ტარის საწყობიაო, გვითხრეს. ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის ტურისტული ბაზაც, რომელსაც პიონერთა ბანაკად იყენებენ, იქვეა. ახლა შენობებს არ იკითხავთ? ერთსართულიანი, დახავსებული, მოუვლელი. ყველაფერი ეს კი 2,3 ჰექტარზეა განლაგებული. არადა, იმ ტერიტორიაზე შესანიშნავი ჯანმრთელობის კერები აშენდებოდა. დაახლოებით 2 ჰექტარი უჭირავს ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის დასასვენებელ სახლს „ქობულეთს". მისმა ადრინდელმა ხელმძღვანელობამ მიიტაცა მომიჯნავე მიწის ნაკვეთი და პლაჟზე გასასვლელი გზაც კი ჩაკეტა, რასაც დიდი უკმაყოფილება მოჰყვა. ეს ორგანიზაციები საერთოდ არ მონაწილეობენ კურორტისა თუ ქალაქის კეთილმოწყობაში და, რატომღაც, შეუზღუდავი ავტონომიით სარგებლობენ. სამხედრო და სასაზღვრო ნაწილებს აქ 13,17 ჰექტარი ტერიტორია დაუკავებიათ, ქალაქს კი არავითარი სარგებელი არა აქვს მათგან.

რესპუბლიკისა და ქობულეთის კურორტთა მართვის საბჭოს ხელმძღვანელებს რომ ვკითხეთ, როგორ შეიძლება შეიქმნას რაიმე ორგანიზებული, მუდმივი ფინანსური წყარო კურორტის განვითარებისთვისო, ამაზე უკვე ვიმსჯელეთო, გვიპასუხეს. საგზურების ნომინალური ღირებულება ერთობ მცირეა და ფასი 10 მანეთითაც რომ გაზარდონ, ბევრად წაადგებოდა საქმეს, ოღონდ ეს თანხა მთლიანად რაიონს უნდა ჩაურიცხონო. მარტივი და ადვილად მისაღები წინადადებაა, მაგრამ როდისღა გახდება იგი ზემდგომი ორგანოების მსჯელობის საგანი, როდის გადაწყდება? ეს აზრი მახინჯაურში მოქმედ სახელმწიფო უშიშროების სანატორიუმ „კოლხიდის" (სხვათა შორის, ამ სანატორიუმს 5 ჰექტარზე მეტი ნაკვეთი უჭირავს) უფროსს ვლადიმერ ბირიუკოვს რომ გავუზიარეთ, სავსებით სამართლიანად და უპრეტენზიოდ მიიჩნია იგი.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1969 წლის 29 აპრილის დადგენილებაში, რომელიც ქობულეთის განვითარებასა და კეთილმოწყობას ეხება, შავით თეთრზე წერია: „ვთხოვთ ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის ჯარების სარდალს, გენერალ-პოლკოვნიკ ს. კურკოტკინს, უმოკლეს დროში მოაგვაროს კურორტ ქობულეთის ზღვისპირა ტერიტორიიდან სამხედრო ნაწილების გაყვანა და იმ ობიექტების გადატანა, რომლებიც არ ხმარდება კურორტის დაცვასა და მომსახურებას. ამ თხოვნის გამეორება ახლაც, 20 წლის შემდეგაც, შეიძლება იმ განსხვავებით, რომ მასში დამატებით უნდა იქნას შეტანილი გონიოს პოლიგონისა და ბარცხანასთან არსებული სამხედრო საწყობების საკითხიც. ამასთან, ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის ჯარების ახლანდელ სარდალს, გენერალ-პოლკოვნიკ ვ. პატრიკეევს ბარემ აქვე უნდა შევახსენოთ მისივე სიტყვები, გაზეთ „კრასნაია ზვეზდას" კორესპონდენტთან საუბრისას რომ განაცხადა: „...ვიღაცას ხომ მოუვიდა აზრად, ვთქვათ, განელაგებინა საარტილერიო პოლიგონი ძველი ქართული შედევრის დავითგარეჯის მონასტრის რაიონში, და ვერ დაინახა, რომ ეს ელემენტარული უმეცრებაა... რადგან ხალხის კულტურა ჩვენი განუყოფელი მონაპოვარია". თუ ეს სიტყვები ქართველი ერის საგანძურზე გულშემატკივარი კაცის ნათქვამია, მივესალმებით. და თუ ასეა, გონიოს ციხეც უნიკალური ძეგლია, და არც მის ყურისძირსაა გამართლებული გაუთავებელი ბათქა-ბუთქი. მოდით, ამ ციხესა და ახლომახლო მოსახლეობაზეც ვიფიქროთ. და კიდევ იმაზე, ბათუმის შესასვლელთან, მომცრო გორაკებზე ასე ბებრის კბილებივით რომ გამოჩრილან სამხედრო საწყობები. ვისაც ახსოვს, აქაურობა ერთობ ეგზოტიკური გახლდათ ამ საწყობების მომრავლებამდე. აკაციის ტევრით იყო იქაურობა გადაბურული. ამ გაზაფხულზე სანახევროდ გაუკაფავთ იგი და უფრო „თვალსაჩინო" გაუხდიათ სამხედროთა „ნაღვაწი".

აჭარაში ჯანმრთელობის კერათა მთავარი ბატონ-პატრონი აჭარის კურორტთა მართვის საბჭოა. მის განკარგულებაშია 15 ჯანმრთელობის კერა და 2 საკურორტო პოლიკლინიკა. განვლილი ათწლეულების განმავლობაში ბევრი რამ გაკეთდა საბჭოს მეცადინეობით: აშენდა ახალი ჯანმრთელობის კერები, დაინერგა დიაგნოსტიკური მკურნალობა, კაპიტალურად გადაკეთდა ძველი ნაგებობანი, კეთილმოეწყო პლაჟი... მაგრამ ჯერაც ბევრი რამაა გასაკეთებელი. ციხისძირისა და მწვანე კონცხის ზონებში ჯერ კიდევ ხვდება თვალს ძველისძველი, ამორტიზებული ნაგებობანი, რომლებიც ვერა და ვერ აკმაყოფილებენ თანამედროვე მოთხოვნებს. ასე რომ, კურორტები ნელა ვითარდება. ამის მთავარ მიზეზად ფინანსურ სიძნელეებს ასახელებენ. განუვითარებელია საკურორტო ინდუსტრია. საბჭოც იძულებულია, ეძებოს ისეთი საწარმოები და ორგანიზაციები, რომლებიც მატერიალურად დაეხმარებიან. „მაგნოლია", „ციხისძირი", „მწვანე კონცხი", „ბურევესტნიკი" და სხვა ნაგებობანი უკვე ისეა ამორტიზებული, ვეღარც შეკეთდება. საჭიროა მათი რეკონსტრუქცია-გადაკეთება, მაგრამ რა გზით? აი, რა თქვა ამასთან დაკავშირებით აჭარის კურორტთა მართვის საბჭოს თავმჯდომარემ **ირაკლი ჯაშმა:**

— ზემდგომი ორგანოები ისე მცირე თანხას გვიყოფენ, ბოლო 10 წლის განმავლობაში არც ერთი ჯანმრთელობის კერა არ აშენებულა საკუთარ დაბანდებათა ხარჯზე. ჰოდა, ჩვენც იძულებული ვართ სხვა ორგანიზაციებს ვთხოვოთ დახმარება. მაგალითად, პანსიონატ „ბათუმის" რეკონსტრუქციას თბილისის „მეტროპოლიტენმა" მოჰკიდა ხელი, სანატორიუმ „ქობულეთისას" — კოლხეთმშენმა, „ფიჭვნარისას" კი ლენინგრადის „კრასნი ტრეუგოლნიკმა" და თბილისის „ორგენერგომშენმა". ჩამოთვლილი პანსიონატები ერთ-ერთი საუკეთესონი იქნებიან მალე.

— იმ ორგანიზაციათა წინაშე კაბალურ მდგომარეობაში ხომ არ აღმოჩნდებით? — ვეკითხებით ბატონ ირაკლის.

— ისინი ფინანსურად და მატერიალურად გვეხმარებიან, ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით. ყველა ობიექტი ჩვენია და ჩვენსავე ბალანსზე დარჩება. მათ მხოლოდ სხვებზე მეტი საგზური გამოეყოფათ ნომინალურ ფასებში.

— რესპუბლიკის ორგანიზაციები რომ მხარში ამოგიდგნენ, ფინანსურად ვერ გაწვდებიან?

— გულახდილად რომ გითხრათ, ბევრი მათგანი არიდებს თავს ამგვარ გარიგებას. ამასთან, საგზურებსაც მხოლოდ ზაფხულობით ითხოვენ. ასე რომ, თუ მათ დავეყრდნობით, ვერც დამსვენებელს მოვიზიდავთ საკმაო რაოდენობით. ახლა ისედაც გვიჭირს, საწოლების მხოლოდ 80 პროცენტია დატვირთული.

— სხვა ქვეყნები, მაგალითად, ბულგარეთი კურორტთა მეოხებით დიდ მოგებას ნახულობს, თქვენ კი პირიქით, 1,5 მილიონ მანეთ დოტაციას გაძლევენ...

— ჩვენთან ძალზე იაფია საგზურები. ოდინდელი ფასების გადახედვას არა და არ ფიქრობენ. კვებაზე 2 მანეთი და 19 კაპიკია დაგეგმილი, საგზურის ღირებულება ვერ ანაზღაურებს ხარჯებს, აი, მაგალითად, „ფიჭვნარში" ნომრები ორადგილიან, სათავსოებიან ოთახებად გადავაკეთეთ, რაც ძვირი დაჯდა. საგზურის ღირებულებად 220 მანეთი მოვითხოვეთ, მაგრამ 160 მანეთიღა დაგვიმტკიცეს. რითი შევავსოთ სხვაობა? მომსახურე პერსონალის ხელფასიც მეტისმეტად მცირეა. სწორია რაიონის ხელმძღვანელთა მოთხოვნაც: სარგებლობთ მიწით, კომუნალური მომსახურებითა და სხვა სიკეთით, მაგრამ... სამაგიეროს? ჩვენი გაანგარიშებით, დოტაციის თავი რომ დავაღწიოთ, ასე, 30 პროცენტით მაინც უნდა გაიზარდოს საგზურის ფასი. აქ კი გადამწყვეტი სიტყვა პროფკავშირებზეა. სწორედ მათ უნდა დაფარონ ეს სხვაობა.

ცხოვრება ახალ პრობლემებს აყენებს, იხვეწება გემოვნება და მატულობს მოთხოვნილება. დროა, კურორტთა თვითდაფინანსებასა და თვითანგარიშზეც ვიფიქროთ, ავამოქმედოთ მატერიალური დაინტერესების ფორმები. მაგრამ მარტო ფიქრი არ შველის საქმეს, პრაქტიკული ნაბიჯი უნდა გადაიდგას, უნდა დაინგრეს დახავსებული ბიუროკრატიული კედელი და ვიმოქმედოთ ისე, როგორც ცხოვრება გვიკარნახებს.

სახელდახელო ინტერვიუები

ავთანდილ ბეჟანიძე — ქობულეთის რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე: — ჯერ უმთავრეს პრობლემაზე ვიტყვი ორიოდ სიტყვას: ქობულეთს 1944 წელს მიენიჭა ქალაქის სტატუსი და საქალაქო საბჭოს აღმასკომიც შეიქმნა. მაშინ ქალაქის მოსახლეობა 6,3 ათას კაცს შეადგენდა, დამსვენებელთა რიცხვი კი 22 ათასს. აღმასკომი დიდ მუშაობას ეწეოდა მოსახლეობისა და დამსვენებელთა რიგიანი მომსახურებისათვის. დაიწყო წყალსადენ-კანალიზაციის რეკონსტრუქცია, კეთილმოეწყო ოცზე მეტი ქუჩა, საფუძველი ჩაეყარა ქალაქის გაზმომარაგებასა და ტროლეიბუსის საკონტაქტო ხაზის გაყვანას, ბევრი რამ გაკეთდა ზღვისპირეთის გასამაგრებლად, მომრავლდა მწვანე ნარგაობა, კეთილმოეწყო ზღვისპირა პარკი და ა. შ. კოორდინაცია ეწეოდა ქალაქის ტერიტორიაზე განლაგებულ საკავშირო და რესპუბლიკურ ორგანიზაციებს. ამ ხნის განმავლობაში ოთხჯერ გაიზარდა ქალაქის მოსახლეობა, დამსვენებელთა რაოდენობა კი ათჯერ და 200 ათას კაცს გადააჭარბა. საქალაქო საბჭოს სხვადასხვა სამსახურის საქმიანობის გაზრდის მიუხედავად, 1988 წლის დეკემბერში აღმასკომი გაუქმდა და განყოფილებად ჩამოყალიბდა რაისაბჭოს აღმასკომში. ამას არავითარი ეკონომიკური ეფექტი არ მოჰყოლია, პირიქით, უამრავი პრობლემა წამოიჭრა. აქამდე რაიონში კურორტთა მართვის რაიონული საბჭოც ფუნქციონირებდა. იგი კოორდინაციას უწევდა ადგილობრივ კურორტებს. წლეულს ისიც გააუქმეს. ახლა, როცა აღარც საქალაქო საბჭოს აღმასკომია და აღარც საბჭო, ერთობ გართულდა მუშაობა. ვფიქრობთ, ზემდგომი ორგანოებიც უნდა დაინტერესდნენ ამ საკითხით. ისეთ დიდ და პერსპექტიულ საკურორტო ქალაქს, როგორიც ქობულეთია, უფრო და უფრო გაუჭირდება საქალაქო საბჭოს აღმასკომის გარეშე.

რაც შეეხება ქალაქის კეთილმოწყობისა და მომსახურების საკითხს, საამისოდ რაიონულ ბიუჯეტს მხოლოდ 150 ათასი მანეთი აქვს გამოყოფილი, მაშინ, როცა მინიმუმ 1,5 მილიონი მანეთი მაინცაა საჭირო ყოველწლიურად: კეთილმოსაწყობია ქუჩები და სკვერები, მოედნები და პარკები; უნდა ვიზრუნოთ ეკოლოგიაზე, ფლორისა და ფაუნის გამრავლებაზე და ა. შ.

სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1986 წლის 25 ივლისის დადგენილებით, საწარმოები და ორგანიზაციები ვალდებული არიან აქტიური მონაწილეობა მიიღონ ადგილობრივი საბჭოების სამეურნეო საქმიანობაში. ამ დადგენილებიდან გამომდინარე, ქობულეთის რაიონის ტერიტორიაზე განლაგებულ საკავშირო და რესპუბლიკური დაქვემდებარების ორგანიზაციებს, მათ შორის, „ცენტროსოიუზს", კურორტთა მართვის მთავარ საბჭოს, ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს მეოთხე სამმართველოს, საქართველოს საზღვაო სანაოსნოს, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიას, ტურიზმისა და ექსკურსიების სამმართველოსა და სხვა ორგანიზაციებს განვუსაზღვრეთ თანხა, რომელიც ყოველწლიურად უნდა გადმოგვირიცხონ. ჯერჯერობით ესღაა კურორტის განვითარების ერთადერთი გზა. რაიონის ბიუჯეტის გაზრდის გარეშე ვერა და ვერ მივაღწევთ მიზანს.

თემურ მეგრელიშვილი — ხელვაჩაურის რაიაღმასკომის თავმჯდომარე: — უწინ რაიონი ბოსტნეულით, ხილით, ქათმითა და რძის ნაწარმით ამარაგებდა ბათუმს. მაგრამ იგი ერთ-ერთი მცირემიწიანი რაიონია და თავად გახდა მომხმარებელი. ასობით კომლია გასაყოფი, მაგრამ ვერა და ვერ დაგვიკმაყოფილებია მიწის ფონდის უქონლობის გამო. რაკი გასანაწილებელი აღარაფერი დარჩა, მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლების მშენებლობა გადავწყვიტეთ. რაიონში მთელი ფართობები სუბტროპიკულ კულტურებს უკავია და თითქმის აღარაფერი დარჩა სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის. სამხედრო პოლიგონს, რომელიც ჭოროხის მარცხენა ნაპირისა და გონიოსა და ახალსოფელს შორისაა მოქცეული, ძალზე დიდი ტერიტორია უკავია. თუ მას გადაიტანენ, მთელ ნაყოფიერ ველს გამოვიყენებთ, ბათუმსა და ავტონომიურ რესპუბლიკასაც მოვამარაგებთ ბოსტნეულით.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1986 წლის 17 მაისისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1986 წლის 27 ოქტომბრის დადგენილებანი ყოველგვარ ინდივიდუალურ მშენებლობას კრძალავენ კურორტის 3-კილომეტრიან ზოლში. არადა, სწორედ ამ ზოლშია რაიონის სოფლების უმრავლესობა. უკვე 2700 ოჯახია გასაყოფი. თავისუფალი ნაკვეთები კი არა გვაქვს. გამოდის, რომ მოსახლეობა საკუთარ საკარმიდამოშიც ვერ უნდა გავყოთ და აღარც სახლის აშენების უფლება მივცეთ. აღნიშნული დადგენილება გადასახედია, იგი ერთობ ართულებს მდგომარეობას.

* * *

დაახლოებით ამგვარი სურათია აჭარის ზღვისპირეთში. პრობლემები, პრობლემები... ყველას ვერც კი ჩამოთვლი კაცი. და, განა, მარტო აჭარაა ამ დღეში? არც აფხაზეთის ზღვისპირეთია უკეთეს ყოფაში. იქაც ცენტრალური თუ მოკავშირე რესპუბლიკათა უწყება-ორგანიზაციები დაპატრონებიან და ეპატრონებიან რჩეულ ადგილებს. ამის მაგალითი უამრავია, მაგრამ ამჯერად ერთ-ერთ უახლეს ფაქტზე შევჩერდებით: „გაზეთ „პრავდის" წლევანდელი 19 ოქტომბრის ნომერში, რედაქციის თხოვნით მიცემულ განმარტებაში, აი, რას აღნიშნავს მოსკოვის საქალაქო საბჭოს თავმჯდომარე ვ. სტეპანკოვი: საქართველოს ზღვისპირეთში 4 ჰექტარი მიწის ნაკვეთი გვაქვს გამოყოფილი და იქ უმაღლესი კლასის ტურისტულ ცენტრს მოვაწყობთო. როგორ და რა გზით? რა თამასუქით, ანდა რა გადაწყვეტილების საფუძველზე აპირებენ ამას მოსკოველები? არსებობს თუ არა ზემდგომ ორგანოთა (უწინარესად, აფხაზეთის ასსრ და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოებისა) სათანადო თანხმობა-დადგენილებანი ამის თაობაზე? ეს ყოველივე გაირკვევა, მაგრამ... ის ხომ ფაქტია, რომ კიდევ ერთ მსუყე ნაჭერს ვკარგავთ თვალსა და ხელს შუა, ისევ და ისევ სხვას უნდა დავემათხოვროთ „ერთი-ორი საგზური"? დავემათხოვროთო, რომ ვამბობთ, უკაცრავად კი ვართ ამ სიტყვაზე, მაგრამ, ასეა და... როდემდე უნდა ვიყოთ ამ ყოფაში, ამ გაუთავებელ ხვეწნა-მუდარაში?! იქნებ, ხვალ-ზეგ ჩვენც გავიმართოთ წელში და ჩვენივ სახსრებით პანსიონატებიც ავიშენოთ და ტურბაზებიც. მაგრამ მიწა თუ არ შეგვარჩინეს?!...

ჩვენს ზღვისპირეთში, სწორედ რომ, მიწის დეფიციტია უმწვავესი და უმტკივნეულესი პრობლემა. მიწა მუდამ გვეჭირდა. რაც შემოგვრჩა, იმას მაინც ხომ უნდა გავუფრთხილდეთ თვალისჩინივით?!

მიხეილ გორგილაძე,
„კომუნისტის" საკ. კორ.

მხოლოდ სიმართლე

კვლავ იმის შესახებ, იყო ოკუპაცია, ინტერვენცია, ძალდატანებითი გასაბჭოება თუ...

წერილი მეშვიდე

წითელი არმიის მეშვეობით მსოფლიო პროლეტარული რევოლუციის განხორციელების იდეას ბევრი ბოლშევიკი ლიდერი იზიარებდა. კომინტერნის IV კონგრესზე 1922 წლის 18 ნოემბერს, მაგალითად, ნ. ი. ბუხარინი ამბობდა:

„...ჩვენ უნდა ვიმსჯელოთ კიდევ ერთ ტაქტიკურ საკითხზე. ესაა **წითელი ინტერვენციის** უფლების საკითხი. ეს საკითხი ყველა კომუნისტური პარტიის სასინჯი ქვაა, ყველგან გაჰყვირიან წითელი მილიტარიზმის შესახებ. ჩვენ პროგრამაში უნდა დავამკვიდროთ, რომ თითოეულ პროლეტარულ სახელმწიფოს აქვს წითელი ინტერვენციის უფლება (რადეკი ადგილიდან: „შენ პოლკის შეფი ხარ და ამიტომ ამბობ ასე“) (სიცილი). „კომუნისტურ მანიფესტში“ ნათქვამია, რომ პროლეტარიატმა უნდა დაიპყროს მთელი მსოფლიო, მაგრამ ამას თითის დაქნევით ხომ ვერ გააკეთებ (სიცილი). აქ საჭიროა ხიშტები და შაშხანები. დიახ, წითელი არმიის გავრცელება სოციალიზმის, პროლეტარიატის ძალაუფლების, რევოლუციის გავრცელებაა. ამას ემყარება წითელი ინტერვენციის უფლება იმ პირობებით, როცა იგი მხოლოდ წმინდა ტექნიკური თვალსაზრისით აიოლებს სოციალიზმის განხორციელებას“ („კომუნისტური ინტერნაციონალის IV კონგრესის ბიულეტენი“, № 14-15, მ., 1922 წლის 23 ნოემბერი (რუს.). გვ. 12).

მსოფლიო რევოლუციის კონცეფცია, მისი ექსტრემალური გაგებით (ლ. დ. ტროცკი) არ ცნობდა არც სუვერენიტეტის ბურჟუაზიულ პრინციპს, არც ბურჟუაზიულ ხელშეკრულებებს, არც დიპლომატიას,* როგორც ასეთს. რსფსრ საგარეო საქმეთა სახალხო კომისრად რომ დანიშნეს, სახალხო კომისარიატის თანამშრომლებთან პირველსავე შეხვედრისას ლ. დ. ტროცკიმ განაცხადა, მსოფლიო რევოლუციას არანაირი დიპლომატია, არც ბურჟუაზიული, არც პროლეტარული, არ სჭირდება, რადგან მსოფლიოს მშრომელები საერთო ენას უამისოდაც გამონახავენო (იხ. „მეჟდუნაროდნაია ჟიზნ“, 1989, №8, გვ. 130).

როგორც ვხედავთ, ბევრ იმდროინდელ საბჭოთა ლიდერს თავისებური წარმოდგენა ჰქონდა დიპლომატიაზე, პროლეტარული სახელმწიფოს არმიის უფლებებზე და ა. შ. მემარცხენე რევოლუციური ლოზუნგებისა და პროლეტარული ინტერნაციონალიზმის თავისებურად გაგებული იდეებისადმი ერთგულებას ზოგიერთი მათგანი ფაქტობრივად იქამდეც კი მიჰყავდა, რომ ოფიციალურად აცხადებდა, წითელ არმიას უფლება აქვს უგულებელყოს საერთაშორისო ურთიერთობის ნორმები, სხვა ქვეყანაც დაიპყროს და ყოველივე ამას ინტერნაციონალისტური მოვალეობის მოხდის მოტივით გავამართლებთო. ე. ი. ფაქტობრივად ისინი, წითელ არმიას უფლებამოსილად მიიჩნევდნენ სხვა ქვეყანაში პოლიტიკური წყობილების შეცვლის მიზნით გამოეყენებინა ინტერვენციისა („წითელი ინტერვენციის“) და ოკუპაციის მეთოდებიც. აქ გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭებოდა კლასობრივ პოზიციებს, მოვლენათა კლასობრივი თვალთახედვით განსჯას, რევოლუციურ მესიანობას, რაც იმ წარმოდგენებს ემყარებოდა, რომ პროლეტარული სახელმწიფოს საშინაო თუ საგარეო აქციებს სიკეთე მოაქვს არა მარტო საბჭოთა ხალხისათვის, არამედ „საერთაშორისო პროლეტარიატისა“ და „მთელი პროგრესული კაცობრიობისათვის“. ხოლო თუ რა იყო სიკეთე, ბოროტება, პროგრესული, რეაქციული და ა. შ. ამას თვით საბჭოთა სახელმწიფო განსაზღვრავდა.

ნიშანდობლივია, რომ საბჭოთა სახელმწიფოზე, რომელიც ზოგჯერ ოკუპანტის როლშიც გამოდიოდა, ლაპარაკი იყო საერთაშორისო სამართლის პირველ საბჭოთა სახელმძღვანელოში, სადაც ვკითხულობთ:

„თუ გავითვალისწინებთ საბჭოთა სახელმწიფოს ყველა ომის სპეციალურად კლასობრივ ხასიათს, არ შეიძლება არამართლზომიერად შევაფასოთ ის ფაქტი, რომ საბჭოთა ხელისუფლებაც, რომელიც გამოდის როგორც **ოკუპანტი** (ხაზგასმა ჩემია.—**ლ. თ.**), სრულიადაც არ თვლის თავს ვალდებულად დაიცვას ექსპლუატაციის ხელშეუხებლობა და კაპიტალიზმის ურყეობა დაკავებული ტერიტორიის ფარგლებში“ (ე. ა. კოროვინი. თანამედროვე საერთაშორისო სამართალი. მ.-ლ., 1926, (რუს.) გვ. 158).

ეს 1926 წელს ითქვა. 1989 წელს კი საბჭოთა მეცნიერი ე. პოზდნიაკოვი, რომელიც ობიექტურად აფასებს საბჭოთა რუსეთის 20-იანი წლების საგარეო პოლიტიკას, აღნიშნავს, რომ ოქტომბრის რევოლუციის პირველი წლების რევოლუციურმა მესიანობამ ტრანსფორმაცია განიცადა და საბჭოთა სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკაში იგი სახელმწიფოებრივ მესიანობად იქცა (პროლეტარული ინტერნაციონალიზმი— დერჟავულ ინტერნაციონალიზმად). ეს „ფორმით თუ არა, თავისი არსით რუსეთის თვითმპყრობელების მესიანობას ჰგავდა, რომლებიც იმპერიის ინტერესებისათვის მარჯვედ იყენებდნენ იმ რუსი ადამიანების ინტერნაციონალურ გრძნობებს, მზად რომ იყვნენ თავი გაეწირათ „თავიანთი მეგობრებისათვის“.

ამავე ავტორის აზრით, საბჭოთა სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკის „მესიანობაში“ შედუღაბებული იყო მესიანობის ორი ტიპი — რევოლუციური (ყოველ შემთხვევაში, თავისი ფრაზეოლოგიით) და დიდმპყრობელური (დერჟავული). ამასთან ინტერნაციონალიზმის რევოლუციურ იდეებს ხშირად იყენებდნენ სახელმწიფოებრივი (დერჟავული) ინტერესების იდეურ დასაბუთებად, ან კიდევ ეს იდეები წარმოადგენდნენ მხოლოდ შირმას სახელმწიფოებრივი თუ დერჟავული ინტერესების დასაფარავად.

მაგრამ „მემარცხენე რევოლუციური ლოზუნგების, პროლეტარული ინტერნაციონალიზმის იდეების ისეთი უშუალო გამოხატულება, როგორიცაა, მაგალითად, სწრაფვა — წითელმა არმიამ ხიშტებით მოუტანოს განთავისუფლება მშრომელებს, სულ უფრო ეწინააღმდეგებოდა გარემომცველ სინამდვილეს“ — აღნიშნავს ე. პოზდნიაკოვი („მეჟდუნაროდნაია ჟიზნ“, 1989, № 5, გვ. 8, 9-10. ე. კოროვინისა და ე. პოზდნიაკოვის ნაშრომებში განვითარებულ დებულებებზე ყურადღება მიგვაქცევინეს საერთაშორისო სამართლის სპეციალისტებმა ლ. ნ. მატარაძემ და საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა ლ. ა. ალექსიძემ).

მთელი სირთულე ის იყო, რომ სახელმწიფოებრივი ინტერესების რევოლუციური ფრაზით დაფარვა, პროლეტარული ინტერნაციონალიზმის იდეების „იდეოლოგიურ ფარდად“ გამოყენება ზოგჯერ უძნელებდა ადამიანებს მოვლენების არსში გარკვევას. „უბედურება ის არის, რომ ბევრს გულწრფელად სწამდა (და ახლაც სწამს) ჩვენი ბევრი **სახელმწიფო** აქციის ინტერნაციონალური არსი“ (იქვე).

ყოველივე ეს თავისუფლად შეიძლება მივუსადაგოთ საბჭოთა რუსეთისა და საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ურთიერთობას. საქმე ის არის, რომ საბჭოთა საგარეო პოლიტიკის დუალიზმმა ამ ურთიერთობაშიც იჩინა თავი. ფაქტია, რომ, ერთი მხრივ, საბჭოთა მთავრობამ მიიღო უაღრესად პროგრესული, დემოკრატიული საკანონმდებლო აქტები, რომლებსაც უდიდესი როლი უნდა შეესრულებინათ რუსეთის ყოფილი იმპერიის ტერიტორიაზე მცხოვრები არარუსი ხალხების ეროვნულ თვითგამორკვევაში. ამ აქტებმა მთელი მსოფლიოს პოლიტიკურ ცხოვრებაზე მოახდინა გავლენა. მათში ახლებურად იყო ჩამოყალიბებული საერთაშორისო სამართლებრივი პრინციპებიც. რაოდენ მნიშვნელოვანია თუნდაც ის, რომ „ზავის შესახებ“ ლენინურ დეკრეტში ანექსიის ცნება ასეა განსაზღვრული: „ანექსია ანუ სხვისი მიწაწყლის დაპყრობა მთავრობას ესმის საერთოდ დემოკრატიის და განსაკუთრებით მშრომელი კლასების უფლებრივი შეგნების თანახმად როგორც მცირე ან სუსტი ეროვნების ყოველი შეერთება დიდი ან ძლიერი სახელმწიფოსადმი ამ ეროვნების ზუსტად, ნათლად და ნებაყოფლობით გამოთქმული თანხმობისა და სურვილის გარეშე, დამოუკიდებლად იმისა, თუ როდის მოხდა ეს ძალდატანებითი შეერთება, აგრეთვე იმის დამოუკიდებლად, თუ რამდენად განვითარებული თუ ჩამორჩენილია ის ერი, რომელსაც ძალდატანებით უერთებენ ამა თუ იმ სახელმწიფოს ან ძალდატანებით აკავებენ მის საზღვრებში. ბოლოს, დამოუკიდებლად იმისა, თუ სად ცხოვრობს ეს ერი ევროპაში თუ შორეულ ოკეანესიქეთა ქვეყნებში.

თუ რომელიმე ერს ძალდატანებით აკავებენ ამა თუ იმ სახელმწიფოს საზღვრებში, თუ მას, მიუხედავად მის მიერ გამოთქმული სურვილისა — სულ ერთია, ეს სურვილი გამოთქმულია პრესაში, სახალხო კრებებზე, პარტიათა გადაწყვეტილებებში თუ აღშფოთებით და აჯანყებებით ნაციონალური ჩაგვრის წინააღმდეგ — არ ენიჭება უფლება თავისუფალი კენჭისყრით, შემმოერთებელი ან საერთოდ უფრო ძლიერი ერის ჯარის სრული გაყვანის პირობებში, სრულიად ძალდაუტანებლად გადაწყვიტოს ამ ერის სახელმწიფოებრივი არსებობის ფორმების საკითხი, მისი შემოერთება წარმოადგენს ანექსიას, ე. ი. დაპყრობას და ძალმომრეობას“ (ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 26, გვ. 288).

ასეთი დეკრეტით, ანექსიის ასეთი მკაცრი დაგმობის შემცველი აქტით ნებისმიერი დემოკრატიული და ჰუმანური სახელმწიფო იამაყებდა. მან მართლაც შეიტანა თავისი წვლილი საერთაშორისო სამართლის ძირითადი პრინციპების განვითარებაში.

მაგრამ, მეორე მხრივ, რევოლუციური მესიანობის ერთგული საბჭოთა მთავრობა, რომელიც დარწმუნებული იყო მსოფლიო სოციალისტური რევოლუციის გარდაუვალობასა და იმაშიც, რომ ეს რევოლუცია ბედნიერებას მოუტანდა საერთაშორისო პროლეტარიატს, მთელ პროგრესულ კაცობრიობას, თავის პრაქტიკულ საქმიანობაში ზოგჯერ უგულებელყოფდა მის მიერვე ოფიციალურად გამოცხადებულ ცალკეულ საგარეო-პოლიტიკურ აქტებს, ზღუდავდა ერთა თვითგამორკვევის უფლებას. გასათვალისწინებელია ერთი მომენტიც: ოქტომბრის რევოლუციის შედეგად რუსეთისაგან ზოგიერთი მხარის ჩამოშორებას, ბუნებრივია, მტრულად შეხვდნენ ძალაუფლებას მოკლებული პოლიტიკური პარტიები. ისინი ბოლშევიკების წინააღმდეგ ბრძოლისა და „ერთიანი და განუყოფელი“ რუსეთის აღდგენისაკენ მოუწოდებდნენ რუს ხალხს, რომლის გარკვეული ნაწილი თანაუგრძნობდა კიდეც ამ ლოზუნგს. არც იმის უარყოფა შეიძლება, რომ თვით საბჭოთა მთავრობაც რუსეთის „დაქუცმაცების“ წინააღმდეგ გამოდიოდა.

ამიტომაც იყო, რომ საბჭოთა მთავრობა თავის საგარეო-პოლიტიკურ მოღვაწეობაში ზოგჯერ მართლაც იყენებდა პროლეტარული ინტერნაციონალიზმის იდეებს სახელმწიფოებრივი ინტერესების „იდეოლოგიურ საფარველად“.

XI არმიის სარდლობაზე ვერაფერს ვიტყვით, მაგრამ მის რიგით შემადგენლობას, ზოგიერთ ოფიცერსაც კი, ალბათ, გულწრფელად სწამდა, რომ საქართველოში 1921 წელს განხორციელებული აქციით წითელმა არმიამ თავისი ინტერნაციონალური მოვალეობა მოიხადა საქართველოს მშრომელების წინაშე. დავიმოწმოთ ერთი ადგილი გენერალ გ. ი. კვინიტაძის დასახელებული წიგნიდან.

„17-ში საღამოს (იგულისხმება 1921 წლის 17 მარტი. — **ლ. თ.**) ჩამობნელებული იქნებოდა, რომ მომახსენეს, მე-11 არმიის პოლიტიკური კომისარი მოვიდაო პოლკოვნიკ თულაევის თანხლებით. შემოიყვანეს. არასდროს დამავიწყდება ამ ჩია ტანის, გალეული პოლიტკომისრის გარეგნობა: ჯარისკაცის ფარაჯა ეცვა და თავზე ციმბირული შავი გრძელბეწვიანი ბოხოხი ეხურა... ერთობ კომიკურ შთაბეჭდილებას ტოვებდა, რაც განსაკუთრებით რელიეფურად მოჩანდა იმ მედიდურობის ფონზე, რომლითაც ლაპარაკობდა იგი მიმდინარე მოვლენებზე. „მართალია, მთავრობა მიდისო?“ — იკითხა მან. — „მერედა რატომ? ჟორდანიას და გეგეჭკორს შეუძლიათ დარჩნენ, ჩვენ მოვრიგდებით. რაც შეეხება რამიშვილს, თავის საგანგებო რაზმიანად გაეცალოს აქაურობას; დანარჩენებს შეუძლიათ დარჩნენ. თურქებს სურთ ბათუმი დაიკავონ, — განაგრძო მან, — ჩვენ არ დავანებებთ. თუ ძალით მოგვინდომეს წართმევა, ვანანებთ; ანტანტასაც ვუჩვენებთ სეირს. ასე ადრე იმიტომ ჩამოვედი, რომ ხვალვე გამოვცე გაზეთი“, — თქვა მან. — „ზავი ხომ უკვე დადებულია.“ კომიკური შესახედაობის მიუხედავად, უაღრესად საინტერესო ტიპი იყო. გავგზავნე ოფიცერი, რათა ეკითხა მთავრობისათვის, ისურვებდა თუ არა ამ კომისრის მიღებას, თან დავაბარე, არ ინანებთ, ძალზე საინტერესო სანახავია-მეთქი.

თანხმობა მივიღე და მთავრობის თავმჯდომარის ვაგონისაკენ გავუძეხი. შევედით თუ არა, იქ მყოფთ გადავხედე, მაინტერესებდა, რა შთაბეჭდილებას მოახდენდა. ძლივს იკავებდნენ თავს, რომ არ გასცინებოდათ. მივხვდი, რომ ეფექტმა ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. დაიწყო საუბარი. კომისარი კვლავ კომიკური მედიდურობით უპასუხებდა. კარგად მახსოვს, ჰკითხეს, რატომ დაესხით თავს საქართველოს, მან კითხვის დამთავრება არ აცალა და თქვა: „დიახ, რა თქმა უნდა, თქვენ იტყვით, რატომ დავესხით თავს საცოდავ, პატარა სოციალისტურ საქართველოს ჩვენ, სოციალისტები; ვიცით, ამხანაგო, რომ იტყვით, **მაგრამ თქვენში მოხდა გლეხთა და მუშათა აჯანყება, და მათ ჩვენ გვთხოვეს დახმარება**“ (ხაზგასმა ჩვენია. — **ლ. თ.**). შემდეგ ე. პ. გეგეჭკორმა კომისარი თავის ვაგონში შეიპატიჟა: „წამობრძანდით, ამხანაგო, დაღლილი იქნებით, ალბათ გძინებათ“, — უთხრა და წაიყვანა“ (გენერალი გ. ი. კვინიტაძე. ჩემი მოგონებანი საქართველოს დამოუკიდებლობის წლებში. 1917-1921 წ. პარიზი, 1985, გვ. 339. თარგმანი არჩილ მანჯგალაძისა).

შეიძლებოდა თუ არა მოვლენები სხვანაირად წარმართულიყო? ვაღიაროთ, რომ ეს გარკვეულწილად მარჩიელობის სფეროს განეკუთვნება, მაგრამ ალბათ ალტერნატივის გამორიცხვაც არ იქნებოდა სწორი. ჯერ ერთი, საბჭოთა რუსეთს თავისუფლად შეეძლო შერიგებოდა (დროებით მაინც) ამიერკავკასიის ერთ-ერთი რესპუბლიკის დამოუკიდებლობას. არ იყო გამორიცხული, რომ ქართველი ხალხი თავისი ნებით და ძალებით დაამყარებდა საბჭოთა ხელისუფლებას თუ უკვე არსებული საბჭოთა რესპუბლიკების ეროვნული, პოლიტიკური და კულტურულ-ეკონომიკური განვითარების გამოცდილება საბოლოოდ დაარწმუნებდა მას საბჭოთა წყობილების უპირატესობაში. საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკასთან მეგობრული, სახელშეკრულებო ურთიერთობის ასე გაუმართლებლად შეწყვეტამ რამდენადმე შელახა საბჭოთა სახელმწიფოს ავტორიტეტი მსოფლიოს ხალხების თვალში. არც ის არის გასაკვირი, რომ საბჭოთა ისტორიოგრაფიამ დიდი სურვილის მიუხედავად ათეული წლების მანძილზე ვერ შეძლო გამოენახა საქართველოს ძალდატანებითი გასაბჭოების რაიმე საფუძვლიანი, დამაჯერებელი გამართლება.

მეორე, რაკილა მაინც გადაწყდა საქართველოს ძალდატანებითი გასაბჭოება, ამ აქციის განმხორციელებლებს მაქსიმალურად უნდა გამოეყენებინათ სისხლისღვრის თავიდან აცილების ყოველგვარი შესაძლებლობა. ძნელია იმის თქმა, თუ პრაქტიკულად როგორ განხორციელდებოდა ეს, მაგრამ, ალბათ, არ იყო გამორიცხული, რომ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა თვითონ აღიარებდა საბჭოთა ხელისუფლებას, ოღონდ თავიდან აეცილებინა საქართველოში წითელი არმიის შემოსვლა. ცნობილია, რომ ასეთი შესაძლებლობის შესახებ ინფორმირებული იყვნენ საბჭოთა რუსეთის სათანადო ორგანოები. ეს დადასტურებულია ვ. ი. ლენინის ცნობილ წერილშიც, რომელიც 1921 წლის 2 მარტს გაეგზავნა გ. კ. ორჯონიკიძეს. ეს წერილი სხვა მხრივაც საინტერესოა, ამიტომ მთლიანად დავიმოწმებთ მას: „1921 წ. 2. III. ბაქო. ორჯონიკიძეს. გადაეცით ქართველ კომუნისტებს და სპეციალურად საქართველოს რევკომის ყველა წევრს ჩემი მხურვალე სალამი საბჭოთა საქართველოსადმი. განსაკუთრებით ვთხოვთ მათ მაცნობონ — არის თუ არა ჩვენს შორის სრული თანხმობა სამ საკითხში:

პირველი: საჭიროა დაუყოვნებლივ შევაიარაღოთ მუშები და უღარიბესი გლეხები და ამნაირად შევქმნათ საქართველოს მტკიცე არმია.

მეორე: აუცილებელია ქართველი ინტელიგენციისა და წვრილი ვაჭრების მიმართ დათმობათა განსაკუთრებული პოლიტიკა. უნდა შევიგნოთ, რომ არათუ აზრი არა აქვს ამ წვრილი ვაჭრების ნაციონალიზებას, არამედ საჭიროა ერთგვარი მსხვერპლიც კი გავიღოთ, ოღონდ გავაუმჯობესოთ მათი მდგომარეობა და დავუტოვოთ მათ წვრილი ვაჭრობის წარმოების შესაძლებლობა.

მესამე: უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ გამოინახოს მისაღები კომპრომისი ბლოკისათვის ჟორდანიასთან ან მის მსგავს ქართველ მენშევიკებთან, რომლებიც ჯერ კიდევ აჯანყებამდე აბსოლუტურად მტრულად არ იყვნენ განწყობილნი გარკვეული პირობებით საქართველოში საბჭოთა წყობილების დამყარების აზრისადმი.

გთხოვთ გახსოვდეთ, რომ საქართველოს როგორც საშინაო, ისე საერთაშორისო პირობები მოითხოვენ ქართველი კომუნისტებისაგან რუსული შაბლონის გამოყენებას კი არა, არამედ ისეთი თავისებური ტაქტიკის მოხერხებულად და მოქნილად შემუშავებას, რომელიც ყოველგვარი წვრილბურჟუაზიული ელემენტებისადმი მეტ დამთმობლობაზე იქნება დამყარებული. გთხოვთ პასუხს. **ლენინი**“ (ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 32, გვ. 189). წერილზე ვ. ი. ლენინის ასეთი მინაწერია: „**სტალინს.** გთხოვთ გადახედოთ, ხოლო თუ რაიმე საწინააღმდეგო გაქვთ, მომელაპარაკოთ ტელეფონით. ლენინი“ (იქვე).

ნ. ნ. ჟორდანიასთან ბლოკის აუცილებლობაზე ვ. ი. ლენინი ადრეც მიუთითებდა. ჯერ კიდევ 1916 წლის 24 მაისს ვ. ი. ლენინი ს. გ. შაუმიანს სწერდა: „ბაქოს მდგომარეობა ძნელია საერთაშორისო თვალსაზრისით. ამიტომ გირჩევთ სცადოთ ბლოკი ჟორდანიასთან. თუ შეუძლებელია, საჭიროა ლავირობა და გადაწყვეტილების **გაჭიანურება**, სანამ არ განმტკიცდებით სამხედრო თვალსაზრისით, სალი გათვალისწინება და დიპლომატია გაჭიანურებისათვის — გახსოვდეთ ეს“ (ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 44, გვ. 57).

დოკუმენტები მოწმობს, რომ რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის კავბიურომ, საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და საქართველოს საბჭოთა მთავრობამ მოსინჯეს ნიადაგი გამოენახათ „მისაღები კომპრომისი ჟორდანიასთან ბლოკისათვის“ (ძნელია თქმა, რამდენად გულწრფელად).

გ. კ. ორჯონიკიძემ ვ. ი. ლენინის 1921 წლის 2 მარტის წერილის გაცნობისთანავე აუწყა მოსკოვს, რომ საქართველოს კომუნისტები ერთსულოვნად ეთანხმებიან ვ. ი. ლენინის მითითებებს. ვ. ი. ლენინის აღნიშნული წერილი იმავე დღეს, 2 მარტს, პირდაპირი მავთულით გადაეცა საქართველოს რევოლუციურ კომიტეტს, პირადად შ. ზ. ელიავას. „ორჯონიკიძემ გთხოვათ, — ატყობინებდა ორჯონიკიძის თანაშემწე მირზაბეკიანი ელიავას, — ლენინის წერილში აღძრული საკითხი განიხილოთ ამხ. ორახელაშვილთან ერთად აქვე, პირდაპირ მავთულთანავე და პასუხი მოგვცეთ ახლავე, სანამ ცეკაში იმსჯელებდეთ მასზე, რადგან მოსკოვი დღესვე ელოდება პასუხს“ (მლი ცპა, ფ. 65, აღწ. 15, საქ. 247, ფურც. 1).

შ. ზ. ელიავა და მ. დ. ორახელაშვილი აღნიშნავდნენ, რომ ვ. ი. ლენინის მითითებათა გათვალისწინებით საქართველოს კომუნისტები შეძლებენ თავი დააღწიონ შეცდომებს. „ჩვენ სრულიად ვეთანხმებით ამხ. ლენინს, — განაცხადეს მათ, — და ვადასტურებთ ამხ. ორჯონიკიძის აზრს, რომ ჩვენს რაზმებში მეფობს ერთსულოვნება წამოყენებულ კითხვებში... დამოუკიდებელ და თავისუფალ საბჭოთა საქართველოში მისი თავისებური სოციალური სტრუქტურითა და კლასთა ურთიერთობით, ჩვენ სრულიად უარვყოფთ შაბლონებს და პირველი დღიდანვე თბილისში შემოსვლისა დავადექით თავისებურ ტაქტიკას, რომელსაც ახლა გვირჩევს ამხ. ლენინი“ (გაზ. „კომუნისტი“ 1921 წლის 6 მარტი). შ. ზ. ელიავამ და მ. დ. ორახელაშვილმა აღუთქვეს ვ. ი. ლენინს, რომ ისინი სამშვიდობო მოლაპარაკებას გამართავდნენ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობასთან; აცნობეს ისიც, რომ რევოლუციურმა კომიტეტმა გამოაცხადა ამნისტია, ხოლო საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობასთან და დამფუძნებელ კრებასთან მოსალაპარაკებლად რევოლუციური კომიტეტის თანხმობით გაიგზავნა ქართველი ინტელიგენციის დელეგაცია. „შემდეგი ჯერ არ ვიცით, — აღნიშნავდნენ ისინი, — მაგრამ ყოველ შემთხვევაში უაზრო ჯიუტობას ჩვენ არ შევეწირავთ ცხოველ ინტერესებს მშრომელი მასებისა, რომლებიც იტანჯებიან ომის გაგრძელებით“ (მლი ცპა, ფ. 65, აღწ. 15, საქ. 246, ფურც. 1-5).

დაძაბულმა პოლიტიკურმა ვითარებამ, საქართველოში რომ 1921 წელს შეიქმნა, აუცილებელი გახადა გადამწყვეტი ზომების მიღება ქართველ მოსახლეობასთან წითელი არმიის ურთიერთობის ნორმალიზებისათვის. ამის აუცილებელ პირობად შ. ზ. ელიავას და მ. დ. ორახელაშვილს მიაჩნდათ არმიის ორგანოების „სრული ჩაურევლობა“ საქართველოს რევოლუციური კომიტეტის საქმიანობაში.

მკითხველს ახსოვს ფ. ე. მახარაძის 1921 წლის 6 დეკემბრის წერილი, რომელშიც აგრეთვე დადასტურებულია, რომ გასაბჭოების დროს საქართველოში „რამდენიმე ორგანო გაჩნდა: ერთი მხრივ, საქართველოს ცენტრალური კომიტეტი და რევოლუციური კომიტეტი, რომლებიც მხოლოდ ნომინალურად იყვნენ ამ ქვეყნის უმაღლესი ორგანოები, მეორე მხრივ, რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის კავბიურო და სრულიად რუსეთის ცენტრალური პროფსაბჭო და XI არმიის რევოლუციური სამხედრო საბჭო, რომლებიც ფაქტობრივად ნამდვილად ხელისუფლების უმაღლესი ორგანოები იყვნენ. ეს უკანასკნელი ორგანოები უმეტესწილად საქართველოს ცენტრალური კომიტეტისა და რევოლუციური კომიტეტისათვის შეუტყობინებლად უაპელაციოდ წყვეტდნენ ყველა მნიშვნელოვან პოლიტიკურ საკითხს, რომლებიც უშუალოდ საქართველოს ეხებოდა“ (მლისფპა, ფ. 2914, აღწ. 2, საქ. 6, ფურც. 1-6).

ამ მდგომარეობის გამოსწორების მიზნით შ. ზ. ელიავა და მ. დ. ორახელაშვილი ვ. ი. ლენინს აცნობებდნენ: „ჩვენს მიერ მიღებული ზომების გარდა აუცილებელია მოსკოვიდან დაუყოვნებლივ დაუდასტურონ არმიის განსაკუთრებულ განყოფილებას და სხვა დაწესებულებებს, რომ მთლიანად დაემორჩილონ რევკომს და სრული პატივისცემით მოეკიდონ სუვერენულ ორგანოებს: ვეცდებით შევუთანხმდეთ ჟორდანიას და სხვა ქართველ მენშევიკებს და ჩვენი ტაქტიკით საქმეს არ გავაფუჭებთ“ (მლი ცპა, ფ. 85, აღწ. 15, საქ. 246, ფურც. 1-5).

და აი, 1921 წლის 10 მარტს მე-11 არმიის რევოლუციურმა სამხედრო საბჭომ მიიღო ვ. ი. ლენინის შემდეგი დეპეშა: „იმის გამო, რომ მეთერთმეტე არმიის ჯარების ნაწილები საქართველოს ტერიტორიაზე იმყოფებიან, წინადადება გეძლევათ სრული კონტაქტი დაამყაროთ საქართველოს რევკომთან და ზუსტად შეუფარდოთ თქვენი მოქმედება რევკომის დირექტივებს, საქართველოს რევკომთან შეუთანხმებლად არ მიიღოთ არავითარი ღონისძიებანი, რომლებსაც შეუძლიათ შელახონ ადგილობრივი მოსახლეობის ინტერესები, განსაკუთრებული პატივისცემით მოეკიდოთ საქართველოს სუვერენულ ორგანოებს, განსაკუთრებული ყურადღება და სიფრთხილე გამოიჩინოთ ქართველი მოსახლეობის მიმართ. დაუყოვნებლივ მიეცით სათანადო დირექტივა არმიის ყველა დაწესებულებას, მათ შორის განსაკუთრებულ განყოფილებასაც. პასუხისგებაში მიეცით ყველა, ვინც ამ დირექტივას არღვევს. გვაცნობეთ ხოლმე დარღვევის ყოველი შემთხვევის ან ადგილობრივ მოსახლეობასთან თუნდაც უმცირესი უთანხმოებისა და გაუგებრობის შესახებ“ (ვ. ი. ლენინი, თხზ. ტ. 35, გვ. 506).

მოსალოდნელი პოლიტიკური დაძაბულობის შენელებას ისახავდა მიზნად ისიც, რომ ჯერ კიდევ 1921 წლის 17 თებერვალს ი. ბ. სტალინი, როცა საქართველოს სსრ რევკომის წევრთა სიას გაეცნო, გ. კ. ორჯონიკიძეს ურჩევდა: „...საჭირო იყო რამდენიმე ადგილის დატოვება ფედერალისტებისა და მემარცხენე მენშევიკებისათვის“ (მლი ცპა, ფ. 558, საქ. 2055, ფურც. 1).

1921 წლის 12 მარტს საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა დაადგინა, რომ თუ მენშევიკური და სხვა პოლიტიკური პარტიები ოფიციალურად აღიარებდნენ საბჭოთა ხელისუფლებას, მათი წარმომადგენლები შეიყვანონ რევოლუციური კომიტეტის — სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი ორგანოს შემადგენლობაში (იხ. მლისფპა, ფ. 14, აღწ. 1, საქ. 2, ფურც. 4).

ძველი ბოლშევიკი ს. ი. ქავთარაძე გვიდასტურებს, რომ საბჭოთა მთავრობის დავალებით მან პირადად შესთავაზა ნ. ნ. ჟორდანიას დარჩენილიყო საქართველოში (შდრ: „მნათობი“, 1966, № 4, გვ. 181).

ყოველივე ზემოაღნიშნულის მიუხედავად, ვ. ი. ლენინის 1921 წლის 2 მარტის წერილში მოცემული დირექტივები ბოლომდე არ განხორციელებულა. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობამ, იმის გამო, რომ სისხლისღვრა უკვე მოხდა, უარი თქვა ბოლშევიკებთან რაიმე შეთანხმებაზე, ამან კიდევ უფრო დაძაბა პოლიტიკური ვითარება საქართველოში.

თუმცა ერთ მეტად მნიშვნელოვან საკითხზე საქართველოს სსრ რევკომი და საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა მაინც შეთანხმდნენ. საქმე ისაა, რომ 1921 წლის 17-18 მარტს ქ. ქუთაისში გაიმართა საქართველოს ამ ორი მთავრობის მოლაპარაკება. მიღებულ დოკუმენტს ხელი მოაწერეს საქართველოს რევკომის რწმუნებულმა მამია ორახელაშვილმა და საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის რწმუნებულმა გრიგოლ ლორთქიფანიძემ. მოლაპარაკება მიმდინარეობდა საბჭოთა რუსეთის წარმომადგენლის აბელ ენუქიძის ხელმძღვანელობით. მასში მონაწილეობდა აგრეთვე საბჭოთა რუსეთის მეორე წარმომადგენელი ალექსანდრე სვანიძე.

მხარეები შეთანხმდნენ: „1. მოხდეს დაუყოვნებლივ ლიკვიდაცია საომარი მოქმედებისა, 2. დემოკრატიული მთავრობა ხსნის თავის ფრონტს საბჭოთა ჯარების წინააღმდეგ, სცლის საქართველოს ტერიტორიის იმ ნაწილს, რომელიც მას უჭირავს და საშუალებას აძლევს რევოლუციური კომიტეტის განკარგულებაში მყოფ ჯარებს შევიდეს ბათუმის ოლქში მის დასაკავებლად და დასაცავად გარეშე მტრის შემოსევისაგან... 3. არაუგვიანეს ვიდრე 25 მარტისა ჩათვლით ქ. ბათომსა, მის რაიონსა და რკინის გზის ლიანდაგზე საჯავახოდან ვიდრე ბათომამდე და საერთოდ იმ ტერიტორიაზე, რომელიც დღეს უკავია დემოკრატიულ მთავრობას, რჩება ამ უკანასკნელის ადმინისტრაცია და ხელისუფლება. 4. რევკომის განკარგულებაში მყოფი ჯარები შედიან ბათომის ოლქში, როგორც მეგობრულად განწყობილი ძალა დემოკრატიული მთავრობის და მის მხედრობისადმი...“ (საქ. სსრ ორსმცსა, ფ. 281, საქ. 168, გვ. 12).

იქვე გადაწყდა, რომ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა, რომელიც უკვე ბათუმში იმყოფებოდა, სპეციალურად გამოგზავნიდა ცარიელ ვაგონებს, რომ რკინიგზით დაჩქარებულიყო წითელი არმიის ნაწილების შეყვანა ბათუმში. ეს აუცილებელი იყო თურქი ასკერებისაგან ბათუმის განთავისუფლების დასაჩქარებლად. თურქეთის ჯარის ნაწილები ბათუმში დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის თანხმობით შემოვიდნენ, მაგრამ შემდეგ მოვლენები ისე განვითარდა, რომ თვით დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობამ მიიღო გადამწყვეტი ზომები თურქეთის ჯარისაგან ბათუმის გასათავისუფლებლად. ამ საკითხის ბოლომდე გარკვევა, რაც ცალკე საუბრის საგანია, შეუძლებელია საბჭოთა რუსეთსა და თურქეთს შორის ამ დროს დადებული ხელშეკრულების გაუთვალისწინებლად. იგი, როგორც ცნობილია, ბათუმის ბედსაც ეხებოდა.

ამ პრობლემას გაკვრით ვ. ი. ლენინიც შეეხო. პროფკავშირთა სრულიად რუსეთის ცენტრალური საბჭოს კომუნისტური ფრაქციის სხდომაზე (1921 წლის 11 აპრილი), რომელზეც კონცესიების საკითხი განიხილეს, ვ. ი. ლენინმა აღნიშნა: „ერთი ცნობით საქართველოს მენშევიკურმა მთავრობამ ადრე დადო კონცესია, რომელიც საერთოდ ჩვენთვის მისაღებია. წინასწარ მე მხოლოდ ის შევძელი, რომ დავუკავშირდი ქართველ ამხანაგებს და ვესაუბრე ამხ. ენუქიძეს, სრულიად რუსეთის აღმასრულებელი კომიტეტის მდივანს, თვითონაც ქართველს, რომელიც იქ იყო და საქართველოს მენშევიკურ მთავრობასთან დადო ერთი, მართალია, არა საკონცესიო ხელშეკრულება იმის თაობაზე, რომ ისინი ჩვენ წინააღმდეგობის გაუწევლად გვძლევენ საქართველოს 1/6 ნაწილს და ინარჩუნებენ ხელშეუხებლობის გარანტიას.

ამხ. ენუქიძის მონაწილეობით ხელმოწერილ ამ ხელშეკრულების შემდეგ მათ მაინც ამჯობინეს, მიუხედავად ხელშეუხებლობის გარანტიისა, თვითონ ბათუმიდან კონსტანტინოპოლს გამგზავრებულიყვნენ, ასე რომ, დადებითიც მოვიგეთ და უარყოფითიც — ისიც, რომ შევიძინეთ ტერიტორია— არა რუსეთისათვის, არამედ საბჭოთა საქართველოსათვის — ბათუმი და მისი მიდამოები, და ისიც, რომ დავკარგეთ კონსტანტინოპოლს გამგზავრებული მენშევიკები, არცთუ მცირე რაოდენობისა“ (ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 42, გვ. 312-313). ამავე გამოსვლაში ვ. ი. ლენინმა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებას „საბჭოთა გადატრიალება“ უწოდა (იქვე. გვ. 313).

როგორც ვხედავთ, ვ. ი. ლენინი ადასტურებს, რომ საბჭოთა მთავრობამ „ხელშეუხებლობის გარანტია“ შესთავაზა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობას, რომელმაც შესაძლებლობა მისცა წითელ არმიას წინააღმდეგობის გაუწევლად დაეკავებინა ტერიტორია საჯავახოდან ბათუმამდე (შდრ: ვ. ი. ლენინი — „საქართველოს 1/6 ნაწილი“).

ბათუმიდან თურქეთის ჯარის ნაწილები საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შეიარაღებულმა ძალებმა განდევნეს. ოპერაციას გენერალი გ. მაზნიაშვილი ხელმძღვანელობდა. ბათუმი და მისი ოლქი საქართველომ შეინარჩუნა. სამართლიანობა მოითხოვს, ითქვას, რომ ამ დიდი სამამულიშვილო საქმის წარმატება განაპირობა იმ მტკიცე, სწორმა პოზიციამაც, რომელიც საბჭოთა რუსეთის მთავრობამ, რკპ (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა და მისმა კავბიურომ დაიკავეს ამ საკითხში.

წითელი არმიის მიერ საქართველოს გასაბჭოებას მსოფლიო საზოგადოებრიობა უარყოფითად შეხვდა. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობას გამოექომაგნენ II ინტერნაციონალის პარტიები, პირადად მათი ბელადები, ევროპის სოციალისტური პრესა, რამაც კიდევ უფრო გააძლიერა საბჭოთა რუსეთის საწინააღმდეგო კამპანია. ამასთან დაკავშირებით ვ. ი. ლენინი 1921 წლის 18 აპრილს გ. კ. ორჯონიკიძეს ატყობინებდა (დეპეშა ერევანში გაიგზავნა):

„საზღვარგარეთ გაფთრებულ აგიტაციას ეწევიან რსფს რესპუბლიკის წინააღმდეგ საქართველოს გასაბჭოებასთან დაკავშირებით, განსაკუთრებით მარტოვი, წერეთელი და სხვები. საჭიროა, რომ საქართველოს რევკომმა დაიწყოს სერიოზული კონტრაგიტაცია, რომელშიც უნდა აღინიშნოს, ჯერ ერთი, რსფს რესპუბლიკის მშვიდობისმყოფლური როლი, მეორე — საქართველოს მუშათა და გლეხთა და არმიელთა მასების აქტიური და ინიციატივიანი როლი, მასებისა, რომლებმაც დაამხეს საქართველოს ბურჟუაზიული მთავრობა, და, მესამე, აზერბაიჯანისა და სომხეთის საბჭოთა მთავრობების როლი, რომლებმაც მხარი დაუჭირეს როგორც სომეხ და თათარ, ისე ქართველ აჯანყებულებს თავდაცვის მიზნით, საქართველოს ბურჟუაზიული მთავრობის აგრესიული ნაბიჯების წინააღმდეგ, იმ მთავრობისა, რომელმაც თბილისში ჩამოაყალიბა აზერბაიჯანისა და სომხეთის ბურჟუაზიული მთავრობები სომხეთსა და აზერბაიჯანში საბჭოთა რეჟიმის შიგნიდან ასაფეთქებლად.

გულმოდგინედ აგროვეთ მასალები საქართველოს მენშევიკური მთავრობის წინააღმდეგ და თან ჩამოიტანეთ მოსკოვში პლენუმზე. **ლენინი**“ (ვ. ი. ლენინი, თხზ., 45, გვ. 105).

მასალები, ცხადია, შეაგროვეს. დაიწერა პასუხიც. საქართველოს ძალით გასაბჭოების არგუმენტებს დამაჯერებლობა აკლდა (ჩვენ უკვე ვიცით მათი არსი), რაც, ბუნებრივია, შეუმჩნეველი არ დარჩათ უცხოეთში. დიდი სახელმწიფოები გმობდნენ საქართველოს ოკუპაციას, მაგრამ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობისადმი, თუ შეიძლება ითქვას, სახელმწიფოებრივი დახმარება, როგორც მოსალოდნელი იყო, ვერც ერთმა ქვეყანამ ვერ იკისრა. საქართველოს საკითხს ეს ქვეყნები საბჭოთა რუსეთთან მათი ურთიერთობის კონტექსტით განიხილავდნენ. სოციალისტური პარტიები, განსაკუთრებით კი, ინგლისის მუშათა პარტია, განაგრძობდნენ საბჭოთა რუსეთის საწინააღმდეგო აქციებს, მოითხოვდნენ, რომ საქართველოდან გაეყვანათ წითელი არმიის ნაწილები, მოეწყოთ რეფერენდუმი. ყოველივე ამის შესახებ, ცხადია, ინფორმირებული იყო ვ. ი. ლენინი. სათანადო ცნობებს აწვდიდა მას ინგლისიდან ლ. ბ. კრასინი.

ამასთან დაკავშირებით გვინდა კომენტარის გარეშე მკითხველს შევახსენოთ ვ. ი. ლენინის კიდევ ერთი წერილი, რომელიც ამავე საკითხს ეხება:

„წერილი რკპ (ბ) ცენტრალურ კომიტეტს

დეპეშა ბრიტანეთის მუშათა პარტიის შესახებ ცხადყოფს კრასინის მეტისმეტ გულუბრყვილობას. ჩემი აზრით, ამჟამად საჭიროა მივიღოთ ორგვარი ღონისძიება: 1) გამოვიდეთ პრესაში მთელი რიგი სტატიებით სხვადასხვა ხელმოწერით და აბუჩად ავიგდოთ ეგრეთწოდებული ევროპის დემოკრატიის შეხედულებანი საქართველოს საკითხზე; 2) დაუყოვნებლივ დავავალოთ რომელიმე გესლიან ჟურნალისტს დაწეროს ინგლისის მუშათა პარტიის პასუხად არქითავაზიანი ნოტის პროექტი. ამ ნოტაში უაღრესად დაბეჯითებით უნდა იქნეს განმარტებული, რომ წინადადება საქართველოდან ჩვენი ჯარების გამოყვანისა და იქ რეფერენდუმის მოწყობის შესახებ სავსებით გონივრული იქნებოდა და შეიძლებოდა მიგვეჩნია, რომ ეს წინადადება გამოდის ისეთი ადამიანებისაგან, რომლებიც არ არიან ჭკუაზე შეშლილნი, ანტანტის მიერ მოსყიდულნი, თუ ის გავრცელდებოდა დედამიწის ყველა ერებზე; კერძოდ, იმისათვის, რომ ბრიტანეთის მუშათა პარტიის ხელმძღვანელებს მივახვედროთ, თუ რას ნიშნავს თანამედროვე იმპერიალისტური ურთიერთობა საერთაშორისო პოლიტიკაში, ჩვენ წინადადებას ვაძლევთ მას მოწყალე თვალით განიხილოს: ჯერ ერთი, ინგლისის ჯარების გამოყვანა ირლანდიიდან და იქ რეფერენდუმის მოწყობა; მეორე, იგივე ინდოეთის მიმართ; მესამე, იგივე კორეიდან იაპონიის ჯარების გამოყვანის შესახებ; მეოთხე, იგივე ყველა ქვეყნის მიმართ, სადაც რომელიმე დიდი იმპერიალისტური სახელმწიფოს ჯარები იმყოფებიან. ნოტაში ზედმიწევნით ზრდილობიანი ფორმით გამოვხატოთ ის აზრი, რომ იმ ადამიანებს, რომლებიც მოისურვებენ ჩაუფიქრდნენ ამ ჩვენს წინადადებებს და საერთაშორისო პოლიტიკაში იმპერიალისტური ურთიერთობის სისტემას, შეიძლება იმდენი უნარი აღმოაჩნდეთ, რომ გაიგონ იმ წინადადებათა „საინტერესო“ ხასიათი, რომლებიც ჩვენ წავუყენეთ ინგლისის მუშათა პარტიას. საერთოდ და მთლიანად ნოტის პროექტი უნდა იყოს არქითავაზიანი და მეტისმეტად პოპულარული (10 წლის ასაკის ბავშვთა მიხვედრილობის დონე) დაცინვა ინგლისის მუშათა პარტიის იდიოტი ბელადების მიმართ.

ვურჩევ პოლიტბიუროს განსაჯოს, საჭიროა თუ არა ამ წერილის ასლი გაეგზავნოს კრასინს. პირადად მე მომხრე ვარ. 1921 წ. 27. XII. **ლენინი**“ (ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 33, გვ. 205).

ერთი კი მაინც უნდა ითქვას. როგორც ვხედავთ, თვით ვ. ი. ლენინს მიაჩნია, რომ საბჭოთა საქართველოს ისეთივე ურთიერთობა ჰქონდა საბჭოთა რუსეთთან, როგორც ირლანდიას, ინდოეთს, კორეას — ინგლისთან და იაპონიასთან.

პატივცემულო მკითხველო! დროა შეფასება მივცეთ წითელი არმიის მიერ საქართველოში 1921 წელს განხორციელებულ აქციას. რა იყო მაინც ეს?

იყო ინტერვენციაც, ოკუპაციაც, ძალდატანებითი გასაბჭოებაც, რასაც შემდეგ ფაქტობრივად ანექსია მოჰყვა.

ლევან თოიძე.

დასასრული. დასაწყისი იხ. „კომუნისტი“, № 252, 258, 259, 260, 261, 262.

[illegible]

უცხოეთში

15 ნოემბერი

● გდრ

კოალიციური მთავრობის შესაქმნელად

ბერლინი. ცენტრალურ დემოკრატიულ ბლოკში გაერთიანებული პარტიების წარმომადგენლებმა ბერლინში გამართეს სხდომა კოალიციური მთავრობის შესაქმნელად მოსამზადებელი სამუშაოების საკითხებზე. ეს გამოაცხადა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს პრესის განყოფილებამ.

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ჰ. მოდროვმა ჩამოაყალიბა თავისი კონცეფცია ახალი მთავრობის შექმნის თაობაზე. იგი საფუძვლად უნდა დაედოს კოალიციურ მთავრობას ყველა პარტიის მონაწილეობით.

გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ე. კრენცმა, გერმანიის გლეხთა დემოკრატიული პარტიის თავმჯდომარემ გ. მალოიდამ, ქრისტიანულ-დემოკრატიული კავშირის თავმჯდომარემ ლ. დე მაიცირემ, ლიბერალურ-დემოკრატიული პარტიის თავმჯდომარემ მ. გერლახმა და გერმანიის ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის თავმჯდომარემ გ. ჰარტმანმა შეიტანეს შესაბამისი წინადადებები. მოლაპარაკება გაგრძელდება.

● ნამიბია

გაიმარჯვა სვაპომ

ვინდჰუკი. საყოველთაო აღფრთოვანებით შეხვდნენ სამხრეთ-დასავლეთ აფრიკის სახალხო ორგანიზაციის (სვაპო) მომხრეები მის გამარჯვებას ნამიბიის ისტორიაში პირველად გამართულ საყოველთაო არჩევნებში.

როგორც სამშაბათს ნამიბიაში სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის გენერალური ადმინისტრატორის წარმომადგენელმა განაცხადა, სვაპომ მიიღო 384.567 ხმა (57,3 პროცენტი), რაც მას 72-დან 41 ადგილს აძლევს დამფუძნებელ ასამბლეაში, რომელმაც უნდა შეიმუშაოს მომავალი დამოუკიდებელი სახელმწიფოს კონსტიტუცია. სვაპოს მთავარმა მეტოქემ დემოკრატიულმა ალიანსმა „ტურნჰალემ მოიპოვა 191.532 ხმა (28,6 პროცენტი) და პარლამენტში 21 დეპუტატი ეყოლება.

სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის პრეზიდენტმა ფრედერიკ დე კლერკმა პრეტორიაში განაცხადა, რომ ცნობს არჩევნების შედეგებს და მისი ქვეყანა მზად არის ითანამშრომლოს ნამიბიის მომავალ მთავრობასთან „კეთილმეზობლობის სულისკვეთებით“. სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრმა როლოფ ბოტამ მოუწოდა გაერთიანებული ერების ორგანიზაციას ფინანსური დახმარება გაუწიოს ნამიბიას.

◆ აშშ

მიაღწიეს კომპრომისს

ვაშინგტონი. ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესის სენატში დემოკრატთა და რესპუბლიკელთა ლიდერებმა მიაღწიეს კომპრომისს იმის შესახებ, რომ პოლონეთსა და უნგრეთს დახმარების სახით გამოუყონ 788 მილიონი დოლარი. ამ თანხის დიდი ნაწილი — 657 მილიონი დოლარი განკუთვნილია პოლონეთისათვის. სენატმა მხარი დაუჭირა გამოყოფილი სახსრების მნიშვნელოვან გადიდებას ორივე პალატის შემათანხმებელი კომისიის ვარიანტთან შედარებით, რომელმაც ერთი კვირის წინათ მიიღო გადაწყვეტილება ამ მიზნით 533 მილიონი დოლარის ასიგნების შესახებ.

სენატის ხელმძღვანელობის გადაწყვეტილების მიღება აშკარად დაკავშირებულია ამერიკის შეერთებულ შტატებში „სოლიდარობის“ ლიდერის ლეხ ვალენსას ჩამოსვლასთან. კონგრესი ცდილობს დააჩქაროს პოლონეთისათვის დახმარების გამოყოფის გაჭიანურებული პროცესი, ითვალისწინებს რა იმას, რომ ამ დღეებში ვალენსა გამოვა ორივე პალატის გაერთიანებულ სხდომაზე.

მოკლედ

● **პეკინი. ჩინეთს განზრახული აქვს მშვიდობიანი თანაარსებობის ხუთი პრინციპის საფუძველზე განავითაროს პაკისტანთან, ბანგლადეშთან და ნეპალთან — მეზობელ ან მასთან ახლო მყოფ სახელმწიფოებთან — მეგობრული, კეთილმეზობლური ურთიერთობა. ეს განაცხადა დღეს ჩინეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს მუდმივი კომიტეტის წევრმა, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს პრემიერმა ლი პენმა.**

● **სან-ფრანცისკო. ამერიკის შეერთებული შტატების საზღვაო ავიაციის ორმა მოიერიშე თვითმფრინავმა კალიფორნიის სამხრეთში ჩოკოლეტ-მაუნტინსის პოლიგონის თავზე მანევრების დროს ააცდინა სამიზნეებს და თორმეტი 250 კილოგრამიანი ბომბი ჩამოაგდო ტურისტთა შეკრების ტრადიციულ ადგილას, რომლებსაც ბანაკი ჰქონდათ გაშლილი ამ მთიანი მასივის მახლობლად. ამის შედეგად ერთი კაცი დაიჭრა.**

ახალი ამქარი? რატომაც არა...

(დასასრული)

ალმოცენებული და საერთო მატერიალური ინტერესით შეკრული ადამიანთა ერთობა განსაკუთრებული სიმტკიცით გამოირჩევა. ამიტომაც შესაძლოა წარმოების სააქციო ფორმების განვითარებამ ეროვნული კონსოლიდაციისა და თანამშრომლობის ახალი ფორმებიც გვეკარნახოს.

აქ ხაზგასასმელია ერთი გარემოებაც: თანამშრომლობის ახალი ფორმების განვითარების გარეშე შეუძლებელია ეკონომიკური დამოუკიდებლობის რეალური მოდელის შექმნა. საქართველოს ეკონომიკა უკვე მეცხრამეტე საუკუნის დამდეგიდან მხოლოდ წმინდა სამეურნეო ლოგიკით აღარ ვითარდებოდა. პოლიტიკური დამოუკიდებლობის დაკარგვით წარმოშობილი ცენტრისკენული ძალები საქართველოს ეკონომიკის მეტროპოლიაში აღრევას ემსახურებოდა. ეს ტენდენცია, სამწუხაროდ, ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის შემდეგაც არ შესუსტებულა — უმნიშვნელოვანესი სახალხო-სამეურნეო პრობლემების გადაწყვეტას, მსხვილი სამრეწველო ობიექტების მშენებლობას საფუძვლად ხშირად მხოლოდ პოლიტიკური მოტივები ედო.

არაერთგვაროვანი გავლენა იქონია რესპუბლიკის განვითარებაზე ჩაის კულტივიზირებამ. რა ახსნა შეიძლება მოეძებნოს ასეთ სტატისტიკას: საქართველო, რომლის ფართობი 44-ჯერ, მოსახლეობა 122-ჯერ, ჩაის სავეგეტაციო პერიოდი კი ორჯერ ნაკლებია ინდოეთისაზე, ყოველწლიურად მასზე დაახლოებით 100 ათასი ტონით მეტ ჩაის აწარმოებდა.

დღეს, როდესაც რესპუბლიკის ეკონომიკის ახალი ორიენტირების დადგენის აუცილებლობა სულ უფრო და უფრო რეალური ხდება, ალბათ უფრო დიდი მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს საქართველოს სახალხო მეურნეობის იმ ეტაპების შესწავლასა და პოპულარიზაციას, როდესაც მისი ეკონომიკა საკუთარ საფუძველზე ვითარდებოდა და, სხვათა შორის, ქართველები არცთუ ცუდად ირჩენდნენ თავს. საჭიროა დადგინდეს, თუ რა გზით წავიდოდა საქართველო, რომ არ მომხდარიყო ცნობილი ისტორიული კოლიზიები, რა მიმართულებები იკვეთებოდა მისი განვითარების ლოგიკაში.

სახალხო მეურნეობის სპეციალისტებისა და ხელმძღვანელების ეროვნული კადრების აღსაზრდელად, საქმიანი და კომპეტენტური მეურნის ტიპის დასამკვიდრებლად მხოლოდ ჰარვარდის ბიზნესის სკოლის იმედი არ უნდა ვიქონიოთ, უნდა შევისწავლოთ და აღვადგინოთ ის ატმოსფერო, რომელიც საქართველოში მსხვილი მრეწველობის განვითარების ალიონზე სუფევდა. უნდა შევისწავლოთ და ფართო საზოგადოებრიობის მონაპოვრად ვაქციოთ მსხვილი ქართველი ფინანსისტებისა და მრეწველების — დავით სარაჯიშვილის, აკაკი ხოშტარიას, მიტროფანე ლაღიძის, ნიკო ნიკოლაძისა და სხვათა და სხვათა საქველმოქმედო და ეროვნული საქმიანობა, რომ აღარაფერი ვთქვათ დიდი ილიას ეკონომიკურ ნააზრევზე.

კიდევ: საქართველოს სახალხო მეურნეობის განვითარებაზე თითქმის ისევე მოქმედებს პოლიტიკური, სოციალური, ფსიქოლოგიური, ეთნიკური, ისტორიული, ეკოლოგიური და მრავალი სხვა ფაქტორი, როგორც წმინდა ეკონომიკური. ამიტომაც ჩვენთან ეკონომიკური განვითარების მხოლოდ ის მოდელი გაამართლებს, რომელშიც ყოველივე ეს აისახება. სამეცნიერო კვლევასთან ერთად ამ მიმართულებით ფართოდ უნდა გაიშალოს ორგანიზაციული საქმიანობაც, რათა თეორიული დასკვნების მიღების პარალელურად მისი რეალური განხორციელების გზებიც დაისახოს.

— ქართველ მოღვაწეთა ახალ ამქარს საშუალება უნდა ჰქონდეს არა მარტო შეიმუშაოს აქტუალური ეროვნული და სამეურნეო პრობლემების გადაწყვეტის პროექტები, არამედ სახალხო სააქციო საზოგადოებების შექმნისა და ფართო განვითარების მეშვეობით, მოსახლეობაში არსებული სახსრების მომგებიან საფუძველზე გამოყენების გზით განახორციელოს კიდეც ჩანაფიქრი. ამ გზით საქართველოს მოსახლეობას თავისი დანაზოგის მომგებიანად დაბანდების საშუალება გაუჩნდება, ეკონომიკური დამოუკიდებლობის იდეა კი კონკრეტული ორგანიზაციული ფორმებით განმტკიცდება.

ამჟამად შექმნილია საინიციატივო ჯგუფი, რომელიც პირველ ნაბიჯებს დგამს ზემოთ მოყვანილი მიზნების განხორციელების გზაზე. მათი აზრით, ქართველ მოღვაწეთა ახალი ამქრის შექმნის გზაზე მთავარ ნაბიჯად უნდა იქცეს მრავალდარგოვანი საწარმოს, ფირმა „ამქარის" დაარსება, რომელმაც უნდა შექმნას მოღვაწეთა საზოგადოების და თვით ფირმის მატერიალური საფუძველი.

გამოიკვეთა ფირმის საქმიანობის ძირითადი და პერსპექტიული მიმართულებებიც. იგი საკუთარი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცებისა და სააქციო საზოგადოებების შექმნისა და ფუნქციონირების მეთოდიკურ-ნორმატიული საფუძვლების პარალელურად, შექმნისთანავე ფართო საზოგადოებრიობის სამსჯავროზე წარადგენს პერსპექტიულ იდეათა პაკეტს, რომელიც ჯერჯერობით შეიცავს წინადადებებს შავი ზღვის დაცვის, მისი ენერგო და სხვა რესურსების რაციონალური გამოყენების, მოსახლეობის თბო და ენერგოუზრუნველყოფის არატრადიციული სისტემების დანერგვის, ადგილობრივი რესურსებით საშენი მასალების წარმოების, სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოების პროგრესული სისტემების დანერგვისა და სხვა მეტად აქტუალური და საჭირბოროტო პრობლემის არატრადიციული გზებით გადაჭრისათვის. სათანადო განხილვის შედეგად შეირჩევა რამოდენიმე წინადადება, რომელთა რეალიზაციას სათავეში ჩაუდგება ქართველ მოღვაწეთა ახალი ფირმა „ამქარი". ამგვარად ჩამოყალიბდება და განვითარდება წარმოების ორგანიზაციის სააქციო (სახალხო-სააქციო) ფორმა. მოქალაქეებს მიეცემათ საშუალება შეისყიდონ აქციები, ამ გზით დააფინანსონ სხვადასხვა საჭირო წამოწყება და გახდნენ ამ წამოწყებათა თანამესაკუთრენი. ეს მორალური კმაყოფილების გარდა მათ გაღებული თანხის შესაბამისად ფინანსურ მოგებასაც მოუტანს.

ფირმა „ამქრის" კონკრეტული საქმიანობა ამგვარი სქემით განხორციელდება: იგი სხვადასხვა ხელმისაწვდომი საშუალებით ხელს უწყობს არასტანდარტული წინადადებების და იდეების შემუშავებასა და მოწოდებას; ამას გარდა, სახელმწიფოებრივი მართვის ორგანოებს, სხვადასხვა უწყებას, ორგანიზაციას, საწარმოსა და დაწესებულებებს, აგრეთვე კერძო პირებს საშუალება ექნებათ შეუკვეთონ ფირმას თავიანთთვის საინტერესო იდეის, წინადადების, ან პროექტის ექსპერტირება და, რაც მთავარია, განხორციელება.

ფირმა როგორც შტატიანი, ასევე მოწვეული სპეციალისტების მეშვეობით შემკვეთთან შეთანხმებით იდეის კორექტირების შემდეგ განსაზღვრავს მისი განხორციელების ფინანსურ, ტექნიკურ, ტექნოლოგიურ, ეკონომიკურ, ეკოლოგიურ და სხვა სავარაუდო შედეგებს და პირველადი განხილვისათვის გადასცემს ქართველ მოღვაწეთა ახალ ამქარს, რომელიც საკუთარი ძალებით შეისწავლის წინადადების ავ-კარგიანობას და დადებითი დასკვნის მიღების შემთხვევაში საზოგადოების ფართო სამსჯავროზე გამოიტანს. თუკი რეზონანსი დადებითი იქნება, მიღებული რეკომენდაციების პირველ რიგში გათვალისწინებით, ფირმა „ამქარი" საკუთარი ძალებითა და მოზიდული სახსრებით დაამუშავებს შესაბამის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციას.

პროექტის შედგენისა და მისი განხორციელების ღირებულების განსაზღვრის შემდგომ, ფირმა გამოუშვებს შესაბამისი რაოდენობის აქციებს, რომლებიც მიეყიდებათ როგორც საწარმოებსა და დაწესებულებებს, ასევე ცალკეულ მოქალაქეებს, ჩამოყალიბდება სააქციო საზოგადოება და აქციების რეალიზაციის შედეგად მიღებული თანხა მოხმარდება ობიექტის ამოქმედებას.

ამრიგად, ფირმა ორგანიზაციას გაუწევს და რეალურად განახორციელებს სრულ საწარმოო-ტექნიკურ ციკლს საინტერესო იდეათა შერჩევა-შეფასებიდან მათი პრაქტიკულად რეალიზაციის ჩათვლით.

ახლად შექმნილი საწარმოების თანამესაკუთრე და ერთ-ერთი აქციონერი იქნება საკუთრივ ფირმა, რომელიც გარკვეული მატერიალური და ფინანსური ბაზის შექმნის შემდეგ მოგების უდიდეს ნაწილს მოახმარს ეროვნული პროექტების დაფინანსებას, საქველმოქმედო საქმიანობას, ეკოლოგიური, ეთნიკური და სხვა სიტუაციების გაჯანსაღებას.

აქ ერთ რამეს მინდა გავუსვა ხაზი: წინამდებარე წერილში, როგორც ხედავთ, საუბარია არა უკვე კონკრეტულ სამოქმედო პროექტზე, არამედ საქმიანობის ახალ ფორმაზე, ჭეშმარიტად სახალხო საკუთრებაში მყოფი საწარმოების შექმნის სისტემაზე, სადაც ადამიანის საკუთრება კონკრეტულად გამოყენებული იქნება, პრაქტიკულად მოემსახურება ეროვნული განვითარების ინტერესებს, თანაც ისე, რომ თავად პიროვნებაც, უხეშად რომ ვთქვათ, უწილოდ არ დარჩეს.

საინიციატივო ჯგუფი აქტიურად ეძებს ეკონომიკური გაჯანსაღებისა და განმტკიცების დამატებითს, არასტანდარტულ, ორიგინალურ გზებს. ძირითადი წინააღმდეგობა, რომელსაც ამ მხრივ ჯგუფი აწყდება, ძველებური აზროვნებაა. მისი გადალახვა შეუძლებელია ფართო საზოგადოებრიობის აქტიური მხარდაჭერის გარეშე. ამიტომაც ყოველი ამგვარი წამოწყება პირველ რიგში საზოგადოებამ უნდა შეაფასოს. ჩვენ ველით, მეგობრებო, თქვენს გამოხმაურებებს, შენიშვნებს, წინადადებებსა და აქტიურ მხარდაჭერას.

გოჩა ჩოგოვაძე,
საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი.

რეფლექსოთერაპევტთა პირველი რესპუბლიკური კონფერენცია

სამი ათეული წელია ჩვენ ქვეყანაში დაიწყო რეფლექსოთერაპიის (ჩინური ტრადიციული მედიცინის — ჯენ-ციუთერაპიის) სამეცნიერო კვლევისა და პრაქტიკული გამოყენების შესწავლა. აღსანიშნავია, რომ ამ უძველესი მეთოდის არსის სრულყოფილად გაგებაში საბჭოთა მეცნიერებამ უდიდესი წვლილი შეიტანა.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის საფაკულტეტო თერაპიის კათედრა, პროფესორ ვ. ალადაშვილის ინიციატივით, საბჭოთა კავშირში ერთ-ერთი პირველთაგანი ჩაუდგა სამეცნიერო კვლევის სათავეებს. მაშინ, 1959 წელს ამ სტრიქონების ავტორი გახლდათ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში ერთწლიან სტაჟირებაზე რეფლექსოთერაპიაში. ამის შედეგად კათედრაზე რეფლექსოთერაპიის საკითხებზე შესრულდა საკანდიდატო დისერტაცია, გამოქვეყნდა 28 სამეცნიერო ნაშრომი რესპუბლიკურ, საკავშირო თუ საერთაშორისო სიმპოზიუმების მასალებში. გარდა ამისა, ჩვენ მონაწილეობა მივიღეთ საკავშირო ჯანდაცვის სამინისტროს მეთოდური რეკომენდაციების შედგენაში და ასე შემდეგ. მუშაობა ამ მიმართულებით, რასაკვირველია, გრძელდება და ნაყოფიერადაც.

1962 წელს თბილისში პროფესორ გ. თვალაძის ხელმძღვანელობით საბჭოთა კავშირში ერთ-ერთი პირველთაგანი შეიქმნა მორეფლოლოგიური ლაბორატორია, რომელიც იკვლევს რეფლექსოთერაპიის პრობლემებს.

ამ ათი წლის წინათ რესპუბლიკაში სამედიცინო ინსტიტუტთან შეიქმნა რეფლექსოთერაპიის სამეცნიერო სექცია, სადაც ამუშავებენ რეფლექსოთერაპიის თეორიულ და პრაქტიკულ აქტუალურ საკითხებს. სექცია აერთიანებს სხვადასხვა სპეციალობის, თერაპევტი, პედიატრი, ნევროპათოლოგი, ფსიქიატრი, ქირურგი, ონკოლოგი, გინეკოლოგი, ნარკოლოგი, ოფთალმოლოგი) 115 ექიმს, რომლებიც ფლობენ რეფლექსოთერაპიის მეთოდს. მათ შორის 6 მედიცინის მეცნიერებათა დოქტორია, 20 — კანდიდატი; წმინდა რეფლექსოთერაპიის თემაზე შესრულებულია ორი სადოქტორო და ოთხი საკანდიდატო დისერტაცია, რომელთა შორის თავისი თეორიული ღირსებებით უნდა გამოიყოს ვ. კვირჭიშვილის საკანდიდატო დისერტაცია. ამჟამად მუშაობა მიმდინარეობს ოთხ სადოქტორო და ამდენივე საკანდიდატო დისერტაციაზე.

სამედიცინო ინსტიტუტის პედიატრიის № 1, № 2 კათედრებზე, აგრეთვე სამხედრო კათედრაზე წარმატებით მიმდინარეობს გამოკვლევები. მეცნიერული მუშაობა სრულდება აგრეთვე ნევროლოგიის, თერაპიის, ონკოლოგიის, პერინატალური მედიცინის, მეანობა და გინეკოლოგიის, ფსიქიატრიის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებში, ექიმთა დახელოვნების ინსტიტუტის სეფსისის ცენტრში, სამკურნალო ფიზკულტურის დისპანსერში, ქალაქის პოლიკლინიკებში, ახალციხის საავადმყოფოში. რეფლექსოთერაპიის კაბინეტებში მუშაობენ ამ საქმის ერთგული ენთუზიასტები.

ქართველი რეფლექსოთერაპევტები დღეს მასპინძლები არიან— თბილისში დაიწყო და სამ დღეს გასტანს რესპუბლიკური კონფერენცია, რომლის მუშაობაში მონაწილეობას მიიღებენ საბჭოთა კავშირის წამყვანი სპეციალისტები რუსეთიდან, უკრაინიდან, ლატვიიდან, ბელორუსიიდან, ჩუვაშეთიდან, მორდვეთიდან და სხვ. კონფერენციის დღის წესრიგშია მედიცინის მეტად აქტუალური საკითხები — რეფლექსოთერაპიით, მათ შორის ლაზერით მკურნალობა, აკუპუნქტურის გამოყენების პერსპექტივა წამალთა თანამოვლენების საუკუნეში, კოსმოსური რეფლექსოდიაგნოსტიკა, აკუპუნქტურა და იმუნიტეტი, რეფლექსოთერაპია ნარკოლოგიაში, აკუპუნქტურით გაუტკივრობა და სხვ. კონფერენციის დატვირთული შინაარსი, მისი მოსალოდნელი შედეგები იმედს გვაძლევს, რომ ამ დარგში სამომავლოდ კიდევ არაერთი ნაბიჯი გადაიდგმება წინ.

მზია კანდელაკი,
ფსიქოთერაპიის სამეცნიერო სექციის ხელმძღვანელი, მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი.

ინტერვიუ ჟურნალისტთან

9 აპრილი: გამოკვლევები დამთავრდა?

ჩვენი კორესპონდენტი შეხვდა ჟურნალისტ ირაკლი გოცირიძეს და მიმართა მას რამდენიმე შეკითხვით

შეკითხვა: — გასულ შაბათს გაზეთ „იზვესტიაში" დაიბეჭდა ფრიად საყურადღებო წერილი, რომელშიც თქვენი დამოუკიდებელი ჟურნალისტური გამოკვლევა 9 აპრილთან დაკავშირებით განიხილება, როგორც „კიდევ ერთი ნაბიჯი ჩვეულ წარმოდგენათა ტყვეობიდან თავის დაღწევის გზაზე" და „ხალხსა და ხელისუფლებას შორის, საერთო ბედით დაკავშირებული ამ ორი მაღალი მხარის, ახალი დიპლომატიური ურთიერთობის პირველსახე". როგორ კომენტარს გაუკეთებდით ამ პუბლიკაციას?

პასუხი: — ეს პუბლიკაცია ფრიად მნიშვნელოვნად მიმაჩნია უპირველესად ორი თვალსაზრისით: ერთი — საბჭოთა ცენტრალური პრესის ამ უაღრესად ავტორიტეტულმა გაზეთმა, როგორც იქნა, ხმა ამოიღო 9 აპრილის ამბებთან დაკავშირებით — აქ ანგარიშში არ შემაქვს მისი ორიოდე პატარა ინფორმაცია, რომლებიც ამასთანავე ობიექტური არ იყო. ასე რომ, თუ ღრმად ჩავუკვირდებით, ეს პუბლიკაცია ბევრ რამეზე მიმანიშნებელი ფაქტია. მეორე — მთელი წერილი გაჟღენთილია ერთი მთავარი იდეით — პიროვნების დამოუკიდებლობასთან ერთად პრესის, ჟურნალისტიკის დამოუკიდებლობის იდეით. ეს დიდად საჭირო მხარდაჭერაა იმისა, რასაც პროგრესულ პოზიციებზე მყოფი ადამიანები ქადაგებენ: ცივილიზებული, დემოკრატიული სახელმწიფოს უპირველესი პირობაა მართლმსაჯულებისა და პრესის სრული დამოუკიდებლობა ხელისუფლებისაგან!

გარდა ამისა, პუბლიკაციაში ბევრი ისეთი ფაქტია მოყვანილი და მინიშნებული, რომელთა შესახებ ლაპარაკსაც ცენტრალური პრესა, გარდა გაზეთის „მოსკოვსკიე ნოვოსტისა", აქამდე აშკარად თავს არიდებდა. აქვე ისიც უნდა ითქვას, რომ წერილში დაშვებულია ორი უზუსტობა და ერთი შეცდომა— ეს უკანასკნელი პარტაქტივის ეპიზოდშია — მაგრამ ისინი ერთობ „ადგილობრივი" მნიშვნელობისაა და ამიტომ მათზე ყურადღების გამახვილება არ ღირს.

შეკითხვა: — საბჭოთა კავშირის სახალხო დეპუტატთა კომისიამ და საქართველოს უმაღლესი საბჭოს კომისიამ დაამთავრეს 9 აპრილის გარემოებათა გამოკვლევა, საბოლოო დასკვნებიც გამოიტანეს. რა სტადიაშია თქვენი დამოუკიდებელი ჟურნალისტური გამოკვლევა?

პასუხი: — რისი გამოკვლევა-დადგენაც შევძელი, იმის ნაწილი, ოფიციალური კომისიების დასკვნებზე ადრე, უკვე გამოქვეყნდა პრესაში — პუბლიკაციები იყო გაზეთებში „მოლოდიოჟ გრუზიი", „კომუნისტი", „მოსკოვსკიე ნოვოსტი", „სახალხო განათლება", დანარჩენი შევა წიგნში, რომელიც ერთდროულად ხუთ ენაზე გამოვა. მაგრამ ეს არ ნიშნავს, თითქოს გამოკვლევა დამემთავრებინოს: 9 აპრილის უბედურებათა ფესვები მხოლოდ სისხლის სამართლის კატეგორიაში როდია, ისინი სხვაგანაც არის და მათი გამომზეურება აუცილებელია, რადგან მხოლოდ სრული სიმართლე დაგვიცავს გადამხდარის განმეორებისაგან.

შეკითხვა: — კონკრეტულად რას გულისხმობთ?

პასუხი: — მხედველობაში მაქვს ისეთი მოქმედებები რომლებიც, მართალია, სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას არ ექვემდებარება, მაგრამ აშკარად აბრკოლებს სრული სიმართლის დადგენას. გავაცნობთ ორ ამგვარ ახალ ფაქტს.

პირველი.

მარშალმა ახრომეევმა, რომელიც ჩვენი სახელმწიფოს პრეზიდენტის მრჩეველია — მას სულ სამი მრჩეველი ჰყავს — ოფიციალურად დაადასტურა, რომ გენერალ-პოლკოვნიკი როდიონოვი დაინიშნა არმიის გენერალური შტაბის აკადემიის რექტორად.

ეს ფრიად მრავლისმეტყველი ფაქტია!

გასულ აგვისტოში, თავდაცვის მინისტრმა დ. იაზოვმა მითხრა: როდიონოვს ჩვენ, რა თქმა უნდა, აღარ ვანდობთ სამხედრო ოლქის სარდლობას, მას, ალბათ, აქ, მოსკოვში, გამოვიყენებთ სადმეო, მე მაშინვე ვიგრძენი ამ სიტყვებში ჩადებული „ძელად მოქმედი ნაღმი", მაგრამ მინისტრმა „დამამშვიდა": რა თქმა უნდა, ახალ დანიშვნას იმ შემთხვევაში განვახორციელებთ, თუ გამოძიება მისი გამართლებით დამთავრდებაო.

გამოძიება, როგორც ვიცით, არ დამთავრებულა, გრძელდება. მაგრამ როდიონოვი მაინც დანიშნეს.

მართალია, სამხედრო აკადემიის უფროსი სამხედრო ოლქის სარდლის პოსტზე დაბალი თანამდებობაა, მაგრამ აქ თვით დანიშვნის ფაქტია გასაკვირველი. ჯერ ერთი, განა დასაშვებია, სასწავლებელს, რომელშიც მაღალი წოდების ოფიცრები სწავლობენ სათავეში ედგას ადამიანი, რომლის სახელთანაც უშუალოდ არის დაკავშირებული სისხლიანი აქცია — მშვიდობიან დემონსტრანტთა დაუნდობელი დარბევა? რა უნდა ასწავლოს ასეთმა „პედაგოგმა" თავის „აღსაზრდელებს"! მაგრამ ჩვენ სხვა რამეზე უნდა გავამახილოთ ყურადღება: როდიონოვის ეს დანიშვნა აშკარა ზემოქმედებაა გამოძიებაზე, რომელიც გენერლის საქმეს იკვლევს, უფრო ზუსტად, ეს არის გამოძიების თავისებური ორიენტირება განსაზღვრული მიმართულებით, სახელდობრ, გენერლის „შეუმჩნევლად" რეაბილიტაციისაკენ. ყოველ შემთხვევაში, მე ასე ვხედავ.

ამ აზრს აღრმავებს ისიც, რომ გამოძიება — მას აწარმოებს საკავშირო სამხედრო პროკურატურის საგანგებო ჯგუფი — როდიონოვს . იურიდიული განსაზღვრით, არ მიიჩნევს არც დამნაშავედ, არც ბრალეულად და არც ეჭვმიტანილად იმ ხოცვა-ჟლეტაში, რომელიც ფაქტობრივად ამ ადამიანის უშუალო ხელმძღვანელობით მოხდა. ჯერ ყველაფერს დავადგენთ და მერე მივცემთ მის მოქმედებას კვალიფიკაციასო, მითხრეს საგამოძიებო ჯგუფში. ვთქვათ, იურიდიულად ასეთი პოზიცია გამოძიების დამთავრებამდე სწორია, მაგრამ, როგორ მიმდინარეობს ეს პროცესი? აი მაგალითი: გამოძიებას ჯერჯერობით დაუდგენელ ფაქტად მიაჩნია როდიონოვის დანიშვნა აპრილის სამხედრო აქციის ხელმძღვანელად და თბილისის კომენდანტად თავდაცვის მინისტრის მიერ, რადგან... ამის დამადასტურებელი ოფიციალური დოკუმენტი არ არსებობსო(!). ეს ხომ აშკარად თვალის დახუჭვაა რეალურ ფაქტზე?! განა ცხადი არ არის, რომ მინისტრმა თავის დროზე განზრახ არ შექმნა ასეთი დოკუმენტი? თუმცა ჩემთან საუბარში, 8 აგვისტოს, მის კაბინეტში არბატის მოედანზე, მან დაუფარავად აღიარა: პირადად მე დავაკისრე როდიონოვს თბილისში წესრიგის დაცვის ხელმძღვანელობაც და ქალაქის კომენდანტობაცო, ოღონდ, ეს ბრძანება ტელეფონით გავეციო. აქედან გამომდინარე, როგორც მე მესმის, გამოძიებისათვის მთავარი უნდა იყოს არა ქაღალდი, არამედ ფაქტის რეალობა, თუ მას ჭეშმარიტების დადგენა მართლა უნდა.

მეორე ფაქტი.

აპრილის ბოლოს მოსკოვში გაიმართა პრესკონფერენცია უცხოელი და საბჭოთა ჟურნალისტებისათვის, რომელზეც სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა, ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ვ. მედვედევმა განაცხადა, საქართველოს მთავრობის სახლის წინ მომიტინგეთა გასარეკად ჯარის გამოყენების შესახებ მოსკოვში მხოლოდ მას შემდეგ გავიგეთ, როცა აქცია უკვე დამთავრდაო.

ეს განცხადება სწორი არ იყო. დღეს უკვე დადგენილია, რომ ასეთი გადაწყვეტილება მიიღეს მოსკოვში, სახელმწიფოს უმაღლეს დონეზე 9 აპრილამდე ორი დღით ადრე. უფრო მეტიც: ვ. მედვედევს პირადად მიუღია მონაწილეობა იმ თათბირში, რომელზეც გადაწყდა თბილისში დამატებითი საჯარისო ნაწილების გადმოსროლის საკითხი. მაშ, რატომ შეიყვანა მან მსოფლიო და საბჭოთა საზოგადოებრიობა შეცდომაში? ამ კითხვაზე პასუხის მისაღებად, მე ვთხოვე ვ. მედვედევს აუდიენცია, რომელიც, სამწუხაროდ, ვერ მოხერხდა: თუ გნებავთ, ამხანაგი მედვედევი ტელეფონით დაგელაპარაკებათო, მითხრეს მისმა თანაშემწეებმა და პირდაპირი ტელეფონის ნომერი მომცეს. თბილისიდან მოსკოვში დარეკვა იოლია, მაგრამ ტელეფონით სერიოზულ საკითხზე დიალოგი, დამეთანხმებით, არცთუ სერიოზულია. მაინც დავურეკე. ამხ. მედვედევი ფრიად კორექტულად მელაპარაკა, ჩემს მთავარ კითხვაზე კი, როგორც წინასწარ ვგრძნობდი, ფრიად ლაკონური პასუხი მომცა: რაც პრესკონფერენციაზე ვთქვი, მას ვერაფერს დავუმატებო. ეს იყო და ეს — არავითარი კომენტარი!

მაშ, როგორ დავადგინოთ ჭეშმარიტება თუ მას ასე მალავენ?

შეკითხვა: — რას გვეტყვით, ემთხვევა თუ არა თქვენი დასკვნები სობჩაკის კომისიის დასკვნებს?

პასუხი: — დეპუტატთა კომისიის საბოლოო დასკვნას მე არ ვიცნობ. სამაგიეროდ, დეტალურად ვარ გაცნობილი საქართველოს უმაღლესი საბჭოს კომისიის დასკვნას, რომლის ზოგიერთი მომენტის გამო საჭიროდ ვთვლი, გამოვთქვა აზრი.

დასკვნაში წერია: „... საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ (შ. გორგოძე), თბილისის შინაგან საქმეთა სამმართველომ (რ. გვენცაძე)... რესპუბლიკის ხელმძღვანელობის წინაშე დააყენა საკითხი თავის განკარგულებაში არსებული ძალების მეოხებით მთავრობის სახლის წინ მიმდინარე მიტინგის აღკვეთისა და დედაქალაქში ნორმალური მდგომარეობის აღდგენის შესახებ... ეს წინადადება რესპუბლიკის ხელმძღვანელობამ არ გაიზიარა იმ მოსაზრებით, რომ მიტინგის აღკვეთა გააძლიერებდა მოსახლეობის უკმაყოფილებას, რასაც შედეგად მოჰყვებოდა მასობრივი გამოსვლები... ამიტომ... რესპუბლიკის ხელმძღვანელობამ (ჯ. პატიაშვილი) სკკპ ცენტრალური კომიტეტის წინაშე აღძრა საზოგადოებრივი წესრიგის დასაცავად დამატებითი ძალების გამოყოფის საკითხი".

როგორც ხედავთ, აქ ისეთი შეუსაბამობაა, კომენტარიც არ სჭირდება, მკითხველი თავად გაერკვევა მასში. ამჯერად მე არ ვაძლევ ჩემს თავს უფლებას, უფრო ღრმად ჩავწვდე ამ საკითხს, რასაც, ალბათ, მომავალში გავაკეთებ. აქ კი მხოლოდ ვიტყვი, რომ რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამსახურის ხელმძღვანელობის პოზიციისა და საქმიანობის წარმოჩინება კომისიის დასკვნაში, ჩემი აზრით, მეტ კონკრეტულობას მოითხოვდა.

შემდეგ. დასკვნაში წერია: „პარტიული აქტივის კრების შემდეგ გაიმართა რესპუბლიკის ხელმძღვანელთა თათბირი სამხედრო პირების მონაწილეობით, ე. წ. თავდაცვის საბჭოს სხდომა, მაგრამ ამ სხდომის დამადასტურებელი დოკუმენტი არ არსებობს".

ეს მართალი არ არის: დოკუმენტი არსებობს, პირადად მე მაქვს მისი ასლი, ქსეროქსზე გადაღებული. მაგრამ საქმე ის არის, რომ ტრაგედიის მოხდენის მერე მას ხელი აღარ მოაწერა სხდომის მონაწილეთა უმრავლესობამ, ხელმოუწერლად კი კომისიას იგი, ალბათ, სამართლებრივად ოფიციალურ საბუთად არ მიაჩნია. მართალია, ამ დოკუმენტს ყველაფერში ვერ დავეყრდნობით, მაგრამ მასში აღნიშნულია, პერსონალურად ვინ შედიოდა თავდაცვის საბჭოს შემადგენლობაში, ამ შემადგენლობიდან ვინ ესწრებოდა და ვინ არა ამ სხდომას და ვინ ესწრებოდა ე. წ. გარეშეთაგან. მე განსაკუთრებით მინდა შევჩერდე ამ სხდომაზე, რადგან მას ფრიად მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს როგორც 9 აპრილის ტრაგედიის მექანიზმში, ასევე კომისიის საბოლოო დასკვნის გააზრებაში. დასკვნაში წერია: „სხდომაზე მოიწვიეს საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა მინისტრი შ. გორგოძე, უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარე ა. კარანაძე, რესპუბლიკის პროკურორის მოვალეობის შემსრულებელი ნ. შოშიაშვილი, იუსტიციის მინისტრი ვ. შარაშენიძე, სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარე გ. გუმბარიძე, რადგან განიხილავდნენ საკითხს, თუ რამდენად საკმაო იყო სამართლებრივი საფუძველი არაფორმალურ გაერთიანებათა ლიდერების პასუხისგებაში მისაცემად და მათი საზოგადოებისაგან იზოლირებისათვის". არც ეს არის მართალი! ჯერ ერთი, უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარე თავდაცვის საბჭოს წევრი იყო და მას მოწვევა არ სჭირდებოდა. მეორეც ის, რომ სხდომაზე არაფორმალთა ლიდერების პასუხისმგებლობის საკითხი არ იდგა.

საქმე ასე იყო.

პარტიული აქტივის კრების დამთავრებისთანავე ჯ. პატიაშვილმა დახურულ თათბირზე მიიწვია მხოლოდ თავდაცვის საბჭოს წევრები და გენერლები: კოჩეტოვი, როდიონოვი, ნოვიკოვი, გორგოძე. თათბირმა განიხილა საკითხი: „მთავრობის სახლის წინ მოედნის მომიტინგეებისაგან განთავისუფლება რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს, სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროს შინაგანი ჯარებისა და საბჭოთა არმიის ძალებით". თათბირის დამთავრების შემდეგ — ზოგი მისი მონაწილე უკვე წასული იყო — პატიაშვილმა მიიღო უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარე ა. კარანაძე. ამ დროს მოვიდნენ პროკურორი ნ. შოშიაშვილი და მინისტრი ვ. შარაშენიძე, რომლებიც პირველ მდივანს გამოძახებული ჰყავდა. დაინახა თუ არა შოშიაშვილი, პატიაშვილმა უთხრა: ეს-ეს არის მოსკოვს ველაპარაკე და მითხრეს, ჩვენს ექსპერტებს მიაჩნიათ, რომ არაფორმალთა ლიდერების დაპატიმრებისათვის სათანადო საფუძველი არ არისო, დაელოდეთ სათანადო ბრძანებულებას, რომელიც ორ დღეში გამოქვეყნდებაო. ფაქტობრივად ამით დამთავრდა აქ არაფორმალთა შესახებ მთელი ლაპარაკი.

დასკვნაში წერია: „ის გარემოება, რომ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარეს ეძახიან ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანთან, სადაც ვიწრო წრეში წყდება არაფორმალური ორგანიზაციების ლიდერთა სისხლის სამართლის პასუხისმგებლობაში მიცემის საკითხი, ნათლად მოწმობს, რომ რესპუბლიკაში მართლმსაჯულების დამოუკიდებლობაზე მსჯელობა შეუძლებელია". ეს ფრიად სერიოზული, თუ შეიძლება ასე ითქვას, უმაღლეს პოლიტიკურ რეგისტრში აყვანილი ბრალდებაა. მის დასამტკიცებლად კომისიას თავის გამოკვლევაში არც ერთი მაგალითი არ მოაქვს. ამიტომ საქართველოს მართლმსაჯულების მიმართ ამ შემთხვევაში გალაშქრება ფრიად მოულოდნელი და უადგილოა. რატომ?..

სამწუხაროდ, დასკვნაში რამდენიმე სხვა უზუსტობაც არის. მაგალითად, ვინ იგულისხმება ტერმინში „რესპუბლიკის ხელმძღვანელობა"? ვინ რა ილაპარაკა, რა პოზიციაზე იდგა თავდაცვის საბჭოს სხდომაზე, როცა მომიტინგეთა წინააღმდეგ შეიარაღებული ძალის გამოყენების საკითხი [illegible] ვინ არის და რა როლს ასრულებდა ამ საკითხის განხილვისას ვინმე გადამდგარი გენერალი ბ. [illegible]? ვინ [illegible] შეიარაღებული ძალის რაოდენობა და სახეობები სისხლიანი აქციის გასატარებლად? როგორ, როდის, სად და რანაირად გადაწყდა ოპერაციის დაწყების დრო? რატომ არ ჩანს დასკვნაში, სად იყვნენ და რას იქმოდნენ ტრაგედიის თავიდან აცილებისათვის ჩვენი დედაქალაქის მესვეურები? რატომ არ დაიკითხა მეორე მდივანი ბ. ნიკოლსკი, რომლის კონკრეტული დანაშაული ნათლად არ არის გამოკვეთილი? დასკვნაში წერია: „კომისიამ ძირითადად გამოავლინა რესპუბლიკაში ყველა კონკრეტული დამნაშავე", მაგრამ არ არის მითითებული, ვინ არიან ესენი გარდა პატიაშვილისა, ნიკოლსკისა, როდიონოვისა და კოჩეტოვისა; რატომ არ არის შეფასებული გენერალ ნოვიკოვის დანაშაული, რომელიც დღესაც ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის ჯარების პოლიტსამმართველოს უფროსის თანამდებობაზეა? რატომ არ დაკითხა კომისიამ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პასუხისმგებელი მუშაკები სელივანოვი, ლობკო, ბაკლანოვი, ბუიანოვი, მიხაილოვი, რომლებიც იმ დღეებში საქართველოში იყვნენ და ფრიად აქტიურად მონაწილეობდნენ რესპუბლიკური ორგანოების მიერ სხვადასხვა გადაწყვეტილების მიღებაში? დასკვნაში წერია: „ოპერაციის კონკრეტული გეგმა უნდა შეემუშავებინა ი. ეფიმოვს, თავად როდიონოვს კი ჰქონდა ოპერაციის მხოლოდ ზოგადი სქემა". ესეც არ არის მართალი! 13 აპრილს ჩემი თვალით ვნახე როდიონოვის კაბინეტში 9 აპრილის . ოპერაციის განხორციელების კონკრეტული გეგმა, რომელიც უზარმაზარ სტენდზე ჰქონდა სარდალს გაკრული და რომელზეც სამხედრო პირობითი ნიშნებითა და სათანადო წარწერებით იყო ზუსტად აღნიშნული, როგორ უნდა გაერეკათ დემონსტრანტები.

მე, როგორც ჟურნალისტი, გაოცებული ვარ, რატომ არ გააკეთა კომისიამ ღრმა, კონკრეტული, ობიექტური ანალიზი იმისა, თუ რატომ და როგორ უჭერდა მხარს ტელევიზია და განსაკუთრებით ზოგიერთი გაზეთი რესპუბლიკის ხელმძღვანელთა კურსს, რამაც ხელი შეუწყო 9 აპრილის უბედურების დატრიალებას საქართველოში. ამის მაგალითები ბევრზე ბევრია.

დასკვნაში ზოგჯერ ფაქტებისა და მოვლენების ინტერპრეტაცია უფრო მეტია, ვიდრე ფაქტების „ხელუხლებლად", რეალურად ობიექტურად მოცემა.

რატომ ვლაპარაკობ ყოველივე ამას, რატომ ვამხედრებ ჩემს წინააღმდეგ უამრავ ადამიანს?— მკითხავს ვინმე. იმიტომ, რომ შიში მიპყრობს: თუ ახლა არ ვთქვით სრული სიმართლე, — სრული — თუ კვლავ შევცოდეთ მის წინაშე, მაშინ ნამდვილად აღარაფერი გვეშველება — ისევ ძველი გზით წავალთ და, ვაი, ასეთ სიარულს!

შეკითხვა: — თქვენ ხშირად დეტალებს უსვამთ ხაზს...

პასუხი: — მე იმიტომ ვანიჭებ „წვრილმანებს" ესოდენ მნიშვნელობას, რომ ვიცი: დეტალი მთლიანის ნაწილია, მისი არსის მატარებელი!

შეკითხვა: — მაშასადამე, გამოკვლევას განაგრძობთ?..

პასუხი: — დიახ, მისი დამთავრება ოფიციალური დასკვნებით არ შეიძლება: 9 აპრილის მეტასტაზები ჩვენს საზოგადოებაში, სამწუხაროდ, ბევრ რამეში ვლინდება.

შეკითხვა: — უფრო ვრცლად ხომ არ განმარტავთ ამ აზრს?

პასუხი: — ვრცლად ამ საკითხზე სხვა დროს ვისაუბროთ. ისე კი გეტყვით, ძირითადად რასაც ვგულისხმობ: ეს არის ჩვენი საზოგადოების ერთი ნაწილის პასუხისმგებლობა იმ კონფორმიზმისათვის, რომელსაც მუდამ ეყრდნობოდა რესპუბლიკის ხელმძღვანელობა.

წიგნის თარო

მძღვნება ქართულ კულტურას

აკაკი სურგულაძე
ქართული კულტურის ისტორიის ნარკვევები
АКАКИЙ СУРГУЛАДЗЕ
ОЧЕРКИ ИСТОРИИ ГРУЗИНСКОЙ КУЛЬТУРЫ
AKAKI SURGULADZE
REVIEW OF THE HISTORY OF GEORGIAN CULTURE

გამომცემლობა „ხელოვნებამ" დასტამბა და მკითხველებმა მიიღეს აკაკი სურგულაძის „ქართული კულტურის ისტორიის ნარკვევების" პირველი წიგნი (უძველესი პერიოდიდან XIX საუკუნემდე). ის ასახავს ქართველი ერის სულიერი ცხოვრების უწყვეტ პროცესს მის სისტემურ მთლიანობაში.

წიგნში ქართული კულტურა განხილულია ქვეყნის ისტორიული განვითარების სხვადასხვა ეტაპზე (გვაროვნულ-თემური წყობილება, ანტიკური ეპოქა, ფეოდალიზმი), ახსნილია მისი აღმავლობის (VIII-XII საუკუნეების) დაქვეითებისა (XIII-XVII) და ხელახალი აღორძინების (XVIII ს.) მიზეზები; ერის სულიერი ღირებულებანი წარმოჩენილია სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური ცხოვრების ფონზე. მასში დახასიათებულია ხალხის აზროვნების დონე, ტრადიციები, ეროვნული კონსოლიდაციის ხასიათი, მეზობელი ხალხების კულტურებთან ურთიერთობა. ურთიერთშეღწევისა და ურთიერთგამდიდრების ფონზე დახასიათებულია კულტურის ცალკეული დარგები.

ჩინებულად დასურათებულ წიგნს ახლავს რეზიუმე რუსულ და ინგლისურ ენაზე.

წიგნის რედაქტორია საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი როინ მეტრეველი.

სპორტის ამბები

სატურნირო ორბიტა

ფეხბურთი. 14 ნოემბერს სევასტოპოლში გაიმართა ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი სსრ კავშირისა და თურქეთის ახალგაზრდულ ნაკრებ გუნდებს შორის. ანგარიშით 2:0 გაიმარჯვეს საბჭოთა ფეხბურთელებმა (ორივე გოლი იგორ კოლივანოვმა გაიტანა) და მეოთხედფინალში გავიდნენ.

ფრენბურთი. იაპონიის ქალაქ ნაგოაში ერთი ტური დარჩა ფრენბურთელ ქალთა მსოფლიო თასის გათამაშების ფინიშამდე, თუმცა გამარჯვებული უკვე ცნობილია. საპატიო პრიზი მოიპოვეს კუბელმა ფრენბურთელებმა, რომლებმაც ზედიზედ ექვსი შეხვედრა მოიგეს. მეექვსე ტურში კუბელებმა ანგარიშით 3:0 დაამარცხეს გდრ-ს ნაკრები. დიდი ინტერესი გამოიწვია მსოფლიო ჩემპიონის ჩინეთის ნაკრების და სეულის ოლიმპიადის ჩემპიონის საბჭოთა გუნდის შეხვედრამ, რომელიც საბჭოთა სპორტსმენების გამარჯვებით დამთავრდა — 3:1.

ჩოგბურთი. ნიუ-იორკში დაიწყო „ვირჯინია სლიმზის" სერიის ფინალური ტურნირი. პირველ წრეში გაბრიელა საბატინიმ (არგენტინა) დაამარცხა [illegible] მაგრესი (აშშ) — 6:4, 6:1; არანტა სანჩესმა (ესპანეთი) — კატარინა ლინდკვისტი — 7:6, 6:3; მარტინა ნავრატილოვამ (აშშ) — მერი-ჯო ფერნანდესი (აშშ) — 6:2, 6:3; ჰელენა სუკოვამ (ჩეხოსლოვაკია) — რაფაელა რეჯი (იტალია) — 6:3, 7:5.

პალესტინელთა ოლიმპიური განაცხადი

მას შემდეგ, რაც შეიქმნა საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი, ჩვენი საზოგადოებრიობა განსაკუთრებული ყურადღებით ადევნებს თვალს ოლიმპიურ მოძრაობაში მიმდინარე პროცესებს. ვფიქრობთ, ეს ცნობა დააინტერესებს მკითხველს.

... პალესტინელთა ლიდერმა იასერ არაფატმა საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტს მიმართა თხოვნით, რომ პალესტინა ამ ორგანიზაციის სრულუფლებიან წევრად მიიღონ. „იმედი გვაქვს ინტერესს გამოიჩენთ ამ საკითხისადმი, — ნათქვამია წერილში, — და მხარს დაუჭერთ პალესტინელ სპორტსმენებს. პალესტინელი ხალხი იბრძვის თავისი ეროვნული ინტერესებისათვის და სურვილი აქვს მსოფლიოს ხალხებს შეუერთდეს სპორტის სფეროშიც".

პალესტინის ოლიმპიური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ომარ ჰუსეინ ალიმ ჟურნალისტებს განუცხადა, რომ მისმა კომიტეტმა ამგვარი თხოვნით პირველად 1979 წელს მიმართა სოკ-ს, მიმდინარე წლის აგვისტოდან კი კვლავ განაახლა მუშაობა მიზნის მისაღწევად. განაცხადის მიღების შემდეგ საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტი რამდენჯერმე შეიკრიბა, მაგრამ გადაწყვეტილება ჯერ არ გამოუტანია.

რედაქტორი
ნ. ჩერქეზიშვილი.

ტელევიზია — ხუთშაბათი, 16 ნოემბერი

თბილისი

პირველი პროგრამა. 9.35 — კინოაფიშა. 10.05 — დილის გასართობი პროგრამა. 11.00 — საქართველოს ეკონომიკური დამოუკიდებლობისათვის. 11.30 — ხალხური შემოქმედება. „ფოლკლორული სალამო ონში" (განმეორებით). 13.05 — მხატვრის ხუთი წუთი". თ. გოცაძე. 13.10 — ქართული ხალხური სიმღერის გაკვეთილი. 13.40 — ქართული ენისა და ლიტერატურის ტელეკურსი. 14.10 — მოსწავლეთათვის. „ჩვენი თეატრი". 15.40 — მხატვრის ხუთი წუთი. თ. გოცაძე. 15.45 — კონცერტი. 16.15 — „თვალსაწიერი". სატელევიზიო ჟურნალი უფროსკლასელთათვის. 17.05 — მხატვრის ხუთი წუთი. თ. გოცაძე. 17.10 — გიწვევთ „იავნანას" საოჯახო კლუბი. 18.00 — „დაბრუნებული სახელები". გრიგოლ რობაქიძე მარჯანიშვილის თეატრში (განმეორებით). 19.00 — „მწერალი და დრო". 20.00 — მოამბე. 20.35 — ძილისპირული. 20.50 — „სადაურსა სად წაიყვან". 22.00 — „ვრემია". 22.40 — აქტუალური ინტერვიუ. 22.50 — „ფილმის შუქ-ჩრდილი". ქართული მხატვრული ფილმი „გზა შინისაკენ".

მოსკოვი

პირველი პროგრამა. 7.30 — „120 წუთი". 9.35 — მხატვრული ტელეფილმი „დარტანიანი და სამი მუშკეტერი". I სერია. 11.00 — მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი ფეხბურთში. სსრ კავშირისა და თურქეთის ნაკრები გუნდები. 12.40 — ბავშვის საათი (ინგლისური ენის გაკვეთილითურთ). 13.40 — „მსოფლიოს გარშემო". 16.35 — დოკუმენტური ფილმი. 17.15 — ახდილი როიალი. 17.45 — „ტელეეკო". 18.15 — „50X50". 19.45 — დღეს მსოფლიოში. 20.00 — ეს თქვენ შეგიძლიათ. 20.30 — მხატვრული ტელეფილმი „დარტანიანი და სამი მუშკეტერი". I სერია. 22.00 — „ვრემია". 22.40 — აქტუალური ინტერვიუ. 22.50 — დოკუმენტური ტელეფილმი „ამერიკული პროვინცია". II ფილმი. 23.50 — ლიტერატურულ-მხატვრული ვიდეოარხი. 1.05 — დღეს მსოფლიოში.

მეორე პროგრამა. 9.00 — დილის ვარჯიში. 9.15 და 12.15 — სამეცნიერო-პოპულარული ფილმი „რუსეთის კოლუმბები". 9.35 და 10.35 — ბუნებისმეტყველება. V კლასი. 9.55 და 10.55 — სამეცნიერო-პოპულარული ფილმი. 10.05 და 11.05 — ესპანური ენა. 11.35 და 12.35 — ფიზიკა. VIII კლასი. 12.05 და 18.00 — ახალი ამბები. 13.05 — მხატვრული ტელეფილმი „ბურუსი". 14.15 — დოკუმენტური ტელეფილმი. 14.45 — ფილმ-კონცერტი. „სახიობა". 15.15 — დოკუმენტური ფილმი „ვინ დახატავს ცხენს?..". 15.55 — გადაცემა ანადირიდან. 18.10 — განმეორებითი ტელეფილმის სეანსი. „მშვიდობა სახლსა ამას. II სერია. 19.15 — „მხატვრის სახელოსნოში". 19.45 — დოკუმენტური ფილმი გენერალ-ლეიტენანტ ს. მ. კრილოვის ტრაგიკულ ბედზე. 20.00 — „არენა". 21.00 — „ძილი ნებისა, პატარებო!". 21.15 — საინფორმაციო პროგრამა. 22.00 — „ვრემია". 22.40 — მხატვრული ტელეფილმი „ახლა თუ უნდა წავიდეს". I და II სერია. 0.30 — ახალი ამბები. 0.40 — ჩვენი ბალი.

КОМУНИСТИ ИНДЕКС 66434 უე 10534 საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა, ლენინის ქ. 14, იბეჭდება ოფსეტური წესით. საგაზეთო კორპუსი, ხოშარაულის 29. 1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14